# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2015 წელი.

№146 (7791)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ

## როცა თვალში დირე გაქვს... ④

## ვინ არის ქართველი მამაკაცი ვანგა ვალერი გელბახიანი? ②



## ქიბარ ხალვაში „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ სასამართლოში იბრძვის

ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი-2“-ის წილის დასაბრუნებლად სასამართლოში სარჩელი შეიტანა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, „რუსთავი-2“-ის პარტნიორთა წილების დაყადაღება მოითხოვა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბიზნესმენის ქართველმა და უცხოელმა ადვოკატებმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. როგორც ითქვა, ქიბარ ხალვაშის სარჩელი „რუსთავის-2“-ის პარტნიორთა წინააღმდეგ სასამართლოში 4 აგვისტოს შევიდა. ადვოკატების



განმარტებით, სასწრაფო ზომების მიღება აუცილებელი მას შემდეგ გახდა, რაც შეიტყვეს, რომ კიდევ ერთხელ იგეგმება „რუსთავის-2“-ის წილების გადაფორმება, რათა წილების კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნება გართულდეს. ადვოკატ პაატა სალიას განცხადებით, „რუსთავის-2“-ის წილების დაყადაღება მათ საშუალებას მისცემს, აღიკვეთოს პოტენციური თვალთმაქცური გარიგება და შენარჩუნდეს ქონების დაბრუნების შანსი.

„მეშვიდე წელია, რაც ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და საკუთრების ხელყოფის ფაქტზე ამაოდ ითხოვს გამოძიების დაწყებას საქართველოს პროკურატურისგან. ბიზნესმენის კანონიერი მოთხოვნის უგულვებელყოფა მოსალოდნელი და გასაგები იყო სააკაშვილის რეჟიმის დროს, თუმცა 2012 წლის არჩევნებიდან 3 წლის თავზე გაუგებარია ახალი ხელისუფლების უმოქმედობა. უკვე აშკარა გახდა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ვერ ასრულებს მის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გაცემულ დაპირებას სამართლიანობის აღდგენასთან და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების რესტიტუციასთან დაკავშირებით“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე პაატა სალიამ.

— ჩვენ ვადანაშაულებთ ახალ ხელისუფლებას და პროკურატურას უმოქმედობაში და „რუსთავი-2“-ის ნომინალური მეწილეების მფარველობაში, — აღინიშნა დღევანდელ პრესკონფერენციაზე.



## ქათამმა როგორ უნდა გაჯობოთ, „კალამბასრო“ დუელანტო?! ③



## რემა ქვანია: ზურას მკვლელობა მერაბიშვილის გადმოცემული სცენარი იყო, თუმცა, შემსრულებლები ვინ იყვნენ, არ ვიცოდი ②





## მკვდარი ზღვა და მადაგასკარი მართლა კვდება! ⑫

ბუნების 10 საოცრება, რომელიც მალე გაქრება

ინფორმაცია

## თუ არ დავეხმარეთ, თვალს რუსეთისკენ გააპარებენ...

„პოლიტიკური რეფორმები კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც უკრაინა და საქართველო რუსეთის მხრიდან შეტევის წინაშე დგანან“, — ამ სათაურით აქვეყნებენ მოსაზრებებს ამერიკელი კონგრესმენები , „რესპუბლიკელები“ პიტერ როსკამი და დევიდ პრაისი rollcall.com-ის გვერდზე.

„თუ აშშ და ევროპა უკრაინისა და საქართველოს მხარდაჭერისგან თავს შეიკავებენ, რუსეთი ამ სიცარიელის შევსებას მშვიდად შეეცდება არამხოლოდ აღმოსავლეთ უკაინაში სამხედრო აგრესიით, არამედ ძლიერი ეკონომიკური და პოლიტიკური იერიშებით. გავრცელებული ცნობების მიხედვით, საქართველოსა და ასევე უკრაინაში ზოგი პოლიტიკური ელემენტი მსგავსი მცდელობების სიცხადეს გვიჩვენებს“, — წერენ ამერიკელი კონგრესმენები.

„ცოტა ხნის წინათ ჩვენ უკრაინასა და საქართველოში კონგრესმენების დელეგაციას ვხელმძღვანელობდით, შევხვდით როგორც ყოველთვის პრეზიდენტებს და პრემიერ-მინისტრებს, ასევე ყველა რანგის და მოსაზრების მქონე ათობით პარლამენტარს. ჩვენ არასოდეს გვინახავს ევროპის ნაწილად გახდომის არც მსგავსი ძლიერი სურვილი და არც უფრო ძლიერი გაცნობიერება იმისა, რომ ეროვნული წარმატება დამოკიდებულია შიდა რეფორმებზე. ჩვენ დავბრუნდით დარწმუნებულები, რომ აშშ-მა და ჩვენმა ევროპელმა მოკავშირეებმა უნდა იპოვონ მხარდაჭერის გამოხატვის სარწმუნო გზები“, — წერენ „რესპუბლიკელები“.

კონგრესმენების თქმით, მათ საქართველოსა და უკრაინაში ვიზიტის დროს ნახეს, რომ ამ ორ ქვეყანას აქვს ეფექტური სამთავრობო ინსტიტუტების განვითარების სურვილი, კორუფციისა და არასტაბილურობის დაძლევის მიზნით კი კანონმდებლები აქტიურად მუშაობენ.

## თბილისის მერია ხანძრის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს დაეხმარება




ამის შესახებ განცხადება თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ თბილისის მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

„ყველამ ვნახეთ გუშინდელი უბედური შემთხვევის ამსახველი კადრები. ჩვენდა სამწუხაროდ, შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა, ხანძარს ორი ჩვენი თანამოქალაქე ემსხვერპლა. მინდა, მათ ოჯახებს სამძიმარი გამოვუცხადო. ასევე, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ თბილისის მერია ამ ოჯახებს გვერდით დაუდგება და შესაბამისი მომსახურება, საჭიროებები ჩვენი მხრიდან იქნება უზრუნველყოფილი. ამიტომ, მე მინდა დავავალო „ჰერმესის“ ხელმძღვანელს და შესაბამის გამგეობებს, რომ ყველაფერი გავაკეთოთ ამ ოჯახების მხარდასაჭერად“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

გუდაუთის ქუჩაზე საღებავების საწყობში გაჩენილ ხანძარს შაბათს ორი ადამიანი ემსხვერპლა, რამდენიმე კი დაშავდა.

# რემა ჟვანია: ზურას მკვლელობა მერაბიშვილის გადმოცემული სცენარი იყო, თუმცა, შემსრულებლები ვინ იყვნენ, არ ვიცოდი

**ზურას მკვლელობა მერაბიშვილის გადმოცემული სცენარი იყო, თუმცა, შემსრულებლები ვინ იყვნენ, არ ვიცოდი, — ამის შესახებ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში ზურაბ ჟვანიას დედამ, რემა ჟვანიამ აღიარა.**

ყოფილი პრემიერ-მინისტრის დედა გუშინდელ სასამართლო პროცესზე მხოლოდ პროკურორებმა დაკითხეს. ადვოკატებმა კი, როგორც თავად აღნიშნეს, ასაკიდან და ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, კითხვებისგან თავი შეიკავეს.

როგორც რემა ჟვანიამ განაცხადა, თავიდანვე იცოდა, რომ მისი შვილი მოკლული იყო, ხარშილაძე და ძაძამია კი, იტყუებიან. ამასთან, რემა ჟვანიამ განაცხადა, რომ მისი შვილი სიკვდილის წინ მასთან სახლში იმყოფებოდა და ღამის 12 საათზე დაურეკეს. მისი თქმით, არ ელაპარაკებოდა მეგობარს, საუბრობდა ოფიციალური ტონით და, როგორც იცის, მას დაურეკა ზურაბ ადეიშვილმა.

**„ხარშილაძე სიცოცხლის ბოლომდე ზურასთან იყო და მასთან მეგობრობდა, ძაძამიამ კი ერთხელ მანქანა გადააბრუნა და, აქედან გამომდინარე, გაუშვეს დაცვიდან. შემდეგ ძაძამიას მკვდარშობილი ეყოლა შვილი და ძაძამია ჩემთან მოვიდა თხოვნით, — მხოლოდ იმ შემთხვევაში დამშვიდდებოდა, თუკი ზურასთან დაბრუნდებოდა დაცვაში. მე ვთხოვე ზურას და დააბრუნა იგი. მშვიდად ვიყავი, რადგან ზურას სიცოცხლის ფასად იცავდნენ“, —** განაცხადა რემა ჟვანიამ.

როდესაც ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა, დედამისს იმედი ჰქონდა, რომ მთავრობაში მყოფი მისი მეგობარი გია ბარამიძე ზურას სიკვდილის მიზეზებს დაადგენდა. რემა ჟვანია აცხადებს, რომ გია ბარამიძე მასთან ხშირად მიდიოდა და ეკითხებოდა, როგორ მიდიოდა გამოძიება, ბარამიძე კი ამბობდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

**„მე მას ვკითხე, რომ სჯეროდა თუ არა იმ სიბინძურის, რომელსაც ამბობდნენ. მან მითხრა, დაწყნადრით, ყველაფერი კარგად იქნებაო. ამ შეკითხვაზე კი მითხრა, რას ბრძანებთ, მე მასე არ ვფიქრობო“, —** განაცხადა რემა ჟვანიამ.



შემდეგ კი, აგვისტოს ომის შემდეგ ნახა გია ბარამიძე ბოლოს და უთხრა, რომ მან გადაუხვია იმ გზას, რომელზეც ზურა იდგა. ამის შემდეგ კი, როგორც რემა ჟვანია ამბობს, გია ბარამიძე აღარ უნახავს. მისივე თქმით, ნახულობდა ხათუნა გოგორიშვილსაც, რომელმაც ერთ-ერთი საუბრისას უთხრა, რომ „ნეტავ დადგეს ის დრო, როდესაც სიმართლეს გაიგებდნენ“.

**„2 თებერვალს ზურა იყო ჩემთან. ჩაი გავუკეთე, მითხრა, რომ შვიდის მერე არაფერს არ ჭამდა და სვამდა, იყო დიეტაზე. შემდეგ ვილაცამ დაურეკა, არ ესაუბრებოდა როგორც მეგობარს, ესაუბრებოდა ოფიციალური ტონით, მგონი ადეიშვილი იყო და უთხრა, მოვდივარო“, —** განაცხადა რემა ჟვანიამ.

პროკურორების დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მან განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანია ვანო მერაბიშვილთან არ მეგობრობდა და ჰქონდა ჩვეულებრივი ურთიერთობა. ამასთან, გარდაცვლილი პრემიერის დედა აცხადებს, რომ ზურაბ ჟვანია იმ ღამეს იმ ბინაში არ იმყოფებოდა და გარდაცვალების შემდეგ მიიყვანეს.

**„ზურა რომ იმ სახლში ყოფილიყო, ფანჯარას გამოაღებდა. ეს მისი ცხოვრების წესი იყო, ფანჯარა სულ ღია ჰქონდა, ამბობდა, რომ სუფთა ჰაერი სასარგებლოა ყველასთვის. არ მჯერა ექსპერტის ნათქვამის, რომელმაც თქვა, რომ ზურას ნაწლავში მოხარშული ძეხვი აღმოუჩინეს, რადგან ზურა იყო დიეტაზე და მოხარშული ძეხვის ჭამას გვიკრძალავდა ყველას, ამბობდა, რომ ეს არ არის სასარგებლო. ე.ი. რეჟისორმა არ იცოდა ზურას თვისებები, ზურა აუცილებლად გააღებდა ფანჯარას. დავრწმუნდი, რომ ეს არის ბინძური სპექტაკლი. ძაძამია და ხარშილაძე კი ყველაფერს იტყუებიან, როცა ამბობენ, რომ მივიდნენ 4 საათზე იმ ბინაში, სადაც გაიგონეს გამათბობლის ხმა. თუმცა, 3-ის ნახევარზე ამ უბანში გაზი იყო გადაკეტილი. ხარშილაძეს**



**კი როდესაც დაუსვეს შეკითხვა, რატომ მიატოვა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პრემიერ-მინისტრი, მან საუბარი გადაიტანა არ არსებულ ინტიმურ ურთიერთობებზე. ზურა რომ მოკლეს ეს თავიდანვე ვიცოდი. ამერიკელების დასკვნაში წერია, რომ მურის ნატამალიც არ არსებობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამათბობელი ან საერთოდ არ ჩართულა, ან ძალიან კარგად მუშაობდა“, —** განაცხადა რემა ჟვანიამ.

მისივე თქმით, ამერიკელების დასკვნაში ასევე საუბარია, რომ მომწამვლელი ნივთიერების შემცველობა ორგანიზმში არსებობდა 72%, რეალურად კი სიკვდილს იწვევს 90%.

**„არსებობს სხვა ნივთიერებაც, რომელიც ორგანიზმში შეყვანის შემდეგ ისეთივე შედეგს იწვევს, როგორც CO-თი მოწამვლა“, —** განაცხადა რემა ჟვანიამ.

როდესაც პროკურორებმა შეკითხვები ამოწურეს, მოსამართლემ დაცვის მხარეს სთხოვა შეკითხვების დასმა, რაზეც ადვოკატმა ბექა ბასილაიამ აღნიშნა, რომ რემა ჟვანიას ასაკიდან და ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე დაცვის მხარე შეკითხვებს არ დასვამს. თუმცა, ბექა ბასილაიას სურდა განცხადების გაკეთება, რაც პროკურორებმა გააპროტესტეს. მან მხოლოდ ის თქვა, რომ როდესაც გარდაცვლილი პრემიერის დედას გამომძიებელი ეუბნება, რომ ზურაბ ჟვანიას ტელეფონზე განხორციელდა ადეიშვილის ზარი, რეალურად ეს იყო უსუპოვის ზარი.

ბიჭო, ვისი ხარ, „მალხაზი?“

# რას გვიმტკიცებს ქართველი მამაკაცი ვანგა?

## ვინ არის ვალერი გელბახიანი?

**წინამდებარე სტატიაში არ იქნება აღწერილი ჟურნალისტური ან, ასე ვთქვათ, ოფიციალური გამოძიების პერიპეტიები. გვსურს, მკითხველს ვუჩვენოთ ის რეალობა, რაც ლოგიკური დასკვნებიდან მიიღება. არც ვინმეს დასჯას მოვითხოვთ, მხოლოდ ეს კია — მკითხველმა თვითონ გააცნობიეროს ინდივიდის ბუნება, როდესაც სიღრმისეულად განვიხილავთ მის საქმიანობას და მასში აღმოვაჩენთ ბევრ საეჭვო ქმედებას. ისმება კითხვა: რა სარგებელს მოგვიტანს ეს „აღმოჩენები“? — რასაკვირველია, ამგვარი ბუნების, ქცევის ადამიანთან არავინ დაიჭერს ურთიერთობას, აგრეთვე მისი ქმედება, თუ იგი მოხვდება მნიშვნელოვან თანამდებობაზე, საზიანო იქნება საზოგადოებისთვის და, რასაკვირველია, სახელმწიფოსთვისაც.**

მოვლენების ყოველმხრივი განხილვის შედეგად შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა: ვალერი გელბახიანი შტაბის უფროსად სააკაშვილმა შეუგზავნა ბადრი პატარკაციშვილს, ან იგი შემდეგ გადაიბირა.

თვითმხილველნი მოგვითხრობენ, რომ გელბახიანი ძლიერ სტრესში იმყოფებოდა, გაოგნებული იყო, ძალიან დაბნეულად გამოიყურებოდა შტაბის უფროსად მუშაობის პერიოდში. ბატონი ბადრი ძლიერ დაფასებული იყო ქართველი ხალხისაგან და ახლაც ასეა. ასეთი ადამიანის ღალატი იოლი გადასატანი არ არის. გამჟღავნების შემთხვევაში ავისმქნელი ხომ საზოგადოებიდან მოკვეთილი აღმოჩნდება. თუმცა, გელბახიანმა ძალები მოიკრიბა და, სავარაუდოა, შეუდგა პატრონების მიერ შეკვეთილ საქმიანობას. რომ იტყვიან, ანგარებიან კაცს სარფიანი შეპირებები რას არ გააკეთებინებს. უპირველესად, შეეცადა, სათანამშრომლოდ მიეწვია ცნობადი სახეები, მაგრამ მოვლენებსა და პოლიტიკაში სუსტად ჩახედული ადამიანები. გამოცდილი თვალი იმასაც ნათლად შეამჩნევდა, რომ გელბახიანი არ გამოირჩეოდა პროპაგანდისტულ საქმიანობაში, რაც ასე საჭიროა საარჩევნო კამპანიაში.

...და, აი, დადგა ჟამი გელბახიანის, როგორც შეგზავნილის, უნარის გამომჟღავნებისა... სააკაშვილს მოესურვა, სახელმწიფო უშიშროების მაღალჩინოსანი კოდუა შეხვედროდა პატარკაციშვილს, დაახლოებოდა მას, გაეთამაშა სააკაშვილის მიმართ განდგომილის როლი, რათა პრეზიდენტობის კანდიდატისთვის დაეტყუებინა მნიშვნელოვანი რამ.

რასაკვირველია, კოდუასთან შეხვედრაზე დათანხმება დიდი შეცდომა იყო. ისტორიას არ ახსოვს, სახელმწიფოს უშიშროების მაღალჩინოსანი ვინმეს გადაებირებინოს. ვისაც არ უნდა ერჩია, პატარკაციშვილი ამ შემოთავაზებას არ უნდა დასთანხმებოდა. თუმცა, ყველას მოსდის შეცდომა. სავარაუდოა, გელბახიანი, რომ იტყვიან, იმდენი ემუდარა პატარკაციშვილს, რომ საბოლოოდ მან თანხმობა განაცხადა, კოდუას შეხვედროდა. რა შედეგიც გამოიღო ამ შეხვედრამ, ამჟამად ყველასთვის ცნობილია. საბედისწერო შეცდომის დაშვების შემდეგ თავდადებულმა მამულიშვილმა იმდენი ინერვიულა, რომ ეს სტრესი ვერ გადაიტანა და წუთისოფელს ნაადრევად გამოესალმა.

ბუნებრივია, უპირველესად, გელბახიანი უნდა შეწინააღმდეგებოდა ამ შემოთავაზებას; მეტიც, სიცოცხლის ფასად წინ უნდა აღდგომოდა ამ შეხვედრის მოწყობის იდეას. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ თქმულება, რაც ეხება მონადირისადმი მიმინოს ერთგულებას... ტყე-ღრე ხეტიალის შემდეგ დაღლილი მონადირე მიადგა მოწანწკარე წყაროს და მოსვენება განიზრახა, თან მათარა შეუდგა წვეთწვეთად მომდინარე წყალს და მოთმინებით დაელოდა მის ავსებას. ავსებულ მათარას მიმინომ ფრთა წამოჰკრა და წყალი მთლიანად დაღვარა. მონადირე ხელახლა შეუდგა მათარის წყლით ავსებას, მაგრამ მიმინომ ფრთის წამოკვრით კვლავ დაუღვარა წყალი. ეს შემთხვევა მრავალგზის განმეორდა. მოწყურებული და მოთმინების ფიალაავსებული მონადირე წყობიდან გამოვიდა და საყვარელი მიმინო მოჰკლა. შემდეგ ძლიერ დანაღვლიანებულმა, მისდა უნებურად, გზა განაგრძო წყაროს სათავისაკენ. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მონადირემ დაინახა წყალში მოტივტივე ცხოველის ლეში, საიდანაც მოედინებოდა ზემოხსენებული მოწანწკარე წყარო. რასაკვირველია, ელდა ეცა, მწარედ ინანა თავისი საქციელის გამო, მაგრამ მიმინოს ხომ ვერ გააცოცხლებდა. **აქედან დასკვნა: მიმინომ გაცილებით მეტი ერთგულება გამოამჟღავნა მონადირისადმი, ვიდრე გელბახიანმა პატარკაციშვილისადმი.**

იხ. 6 გვ.

№146. ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2015 წელი.

# ქათამმა როგორ უნდა გაჯობოთ, „კალამბასრო“ დუელანტო?!

**წავიკითხე „ლიტერატურული საქართველოს“ წლევანდელი ბოლო, საზაფხულო ნომრის ასევე ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული ვინმე დიმიტრი კანანაძის (ასე იმადლა მოვიხსენიებ, რომ აქამდე მასზე არაფერი მსმენია) მასალა და... არც ვიცი, რა დავარქვა იმ გრძნობას, ამ ოპუსის გაცნობით რომ დამეუფლა — წაკითხულით გაოგნება-პირდაბჩენა თუ ახალი „კალამბასრი და ძლევამოსილი“ პუბლიცისტის გამოჩენით მოგვრილი „აღტაცება-აღფრთოვანება“.**

ოჰ, უბერავს, მაგრამ რას და რა „მადლიანად“ უბერავს „პუბლიცისტი“ დიმიტრი! ჯერ მარტო შესავალი რად ღირს, გაზეთის რედაქტორს, **„საქართველოს უკეთესი მომავლისთვის თავგანწირულ ერისკაცს“ რომ მიმართავს გენერალისიმუსის მსგავსი სიმტკიცით გაცემული ბრძანებისთვის: „დაიწყე, დიმიტრი!“**

**და მეც ვიწყებ! — ამბობს — გამოსაქვეყნებლად გაახლებთ სტატიას — „ინტელექტუალურ დუელში გიწვევთ, მილიარდერო!“**

**— მოუთმენლად ველი წამს, როცა ეთერში კვლავ გაიჟღერებს მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნისა და მხედარმთავრის მსგავსი ტემბრით ნათქვამი სიტყვები: „შესდექ, დიმიტრი, კმარა!“**

აქ მხედარმთავრისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე მოგიწოდებთ, „შესდექ დიმიტრი!“, რადგან ერთ საკითხზე მინდა ყურადღების შეჩერება.

„ლიტერატურული საქართველოს“ გამომცემელთან და მთავარ რედაქტორთან თამაზ წივწივაძესთან ლამის 40-წლიანი კარგი პირადი და კოლეგიალური ურთიერთობა მქონდა და მაქვს. მის ჟურნალისტურ მაძიებლობა-მიგნებულობაზე, პუბლიცისტურ ოსტატობასა თუ თვით ყველაზე მძიმე პირობებშიც თავის გამოკვეთილ ვაჟკაცურ პოზიციაზე დგომისა და ბრძოლის უნარზე არაფერს ვიტყვი, რადგან ეს ისედაც ყველამ იცის.

ერთსლა აღვნიშნავ: იგი თავისთავადი, ხალასი და მაძიებელი ნიჭის პატრონი კაცია. ამდენად, ყოველივე კარგ ძველს, რეტროს, ცხადია, პატივს სცემს, მაგრამ უიშვიათესად რომ გამოიყენოს.

ასე რომ არ იყოს, დარწმუნებული ვარ, დიმიტრი კანანაძის ამ ნაცოდვილარის გამოქვეყნებისას იგი უთუოდ გამოიყენებდა (და, ჩემი აზრით, ძალიან მისადაგებულადაც!) თავისი ყოფილი მეგობრის, ნეტარხსენებული ზაურ ბოლქვაძის რედაქტორობის დროინდელი „ნიანგის“ ერთ რუბრიკას — **„იბეჭდება ავტორის დაჟინებული მოთხოვნით!“** — რაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ურნისკენ მოსროლილი დაჭმუჭნული ქაღალდის კარიკატურით იყო დასურათებული.

თუმცა, თუ „პუბლიცისტს“ გულით სურს, მკითხველებს თავისი „ნიჭი“ და „შიგნეულობა“ შეულამაზებლად აჩვენოს, გამომცემელ-რედაქტორმა, ცხადია, მას არც ეს არ უნდა დაუშალოს, თუნდაც იმის გათვალისწინებით, ერთ „ვინმეზე“ რომ არის ნათქვამი „იგი“ მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო“, მაგრამ...

**ახლა კი, თქვენივე შესავლის არ იყოს, „დაიწყე, დიმიტრი!“**

და დიმიტრიმაც დაიწყო და უბერავს, მაგრამ რას უბერავს.



**დარბეულ-გარშემორტყმული გამომცემლობა „სამშობლო“**

არც მინდა მისი „შედევრიდან“ ამონარიდების მოტანა. უმჯობესია, მკითხველმა თავად ნახოს 31 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში“.

ერთსლა ვიტყვი: წუხს, როცა ბატონ თამაზ წივწივაძეს ვთხოვე ივანიშვილთან ინტელექტუალური დუელის დაწყების კურთხევა, გაზეთი — სააპაექრო ტრიბუნად, თვითონ მას სეკუნდანტობა და მთავარი არბიტრობა, **პისტოლეტის და ვაზნების თხოვნა დამავიწყდაო.**

**ახლა კვლავ შეჩერდი, დიმიტრი, ერთი რამ მინდა გითხრა:**

ტყუილად წუხარ, არ გამოგყვება ის კაცი დუელში. არ გამოყვება არა მარტო იმის გამო, რომ შენი შეეშინდება ან, არ გაგიკვირდეს და, ალბათ, ყველასთვის გასაგები მიზეზის გამო თავს არ გაგიყადრებს, არამედ სულ სხვა რამდენიმე მომენტის გამო.

**ჩემი აზრით, ასეთი სულ ცოტა სამი მიზეზია:**

**სპორტს თუ ადევნებთ თვალ-ყურს, ოდესმე გინახავთ ტატამზე უმჩატესი და უმძიმესი წონითი კატეგორიების ძიუდოისტთა შერკინება** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, პირდაპირი გაგებით კი არ მაინტერესებს „ხორცის“ წონა, არამედ საზოგადოებრივი, საქვეყნო სარგებლის თვალსაზრისით)?

**ან ამავე წონითი კატეგორიების მოკრივეები გიხილავთ რინგზე?**

კარგი, ვთქვათ სპორტი არ გაინტერესებთ, ვფიქრობ, **ლიტერატურა მაინც უთუოდ გეყვარებათ** (წერის კულტურით წიგნიერი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებთ, მაგრამ შინაარსზე რა მოგახსენოთ!) და ჭაბუა ამირეჯიბის შესანიშნავი რომანიდან ის პასაჟი გეხსომებათ, დათა თუთაშხია რომ ეუბნება თქვენნაირ დუელის მოსურნეს, — **არ გამოვა ჩვენი შერკინება, რადგან შენთან შედარებით დიდი უპირატესობა მაქვსო.**

დიდბუნებოვანმა და ძლიერმა კაცმა დაინდო მასთან შედარებით სულმდაბალი და სუსტი მოწინააღმდეგე.

ასეთია ძლიერთა ცხოვრების წესი!

**და მესამე მიზეზიც:** მაპატიეთ, ბატონო დიმიტრი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში თქვენ ის „ფინიაც“ არა ხართ, რომლის „ყეფაზეც“ „ქარავანი“ არამცთუ შეიძლება შეჩერდეს, არამედ თუნდაც სვლა შეანელოს!

რაო, რაო, რას ბრძანებთ, ბატონო დიმიტრი? ამას „ოცნების“ და მისი მესვეურების მიერ **მოსყიდულ-გაფუმფულებულ-გაფულფულებული** კაცი წერს?

ისემც ცხვირი დაგიმშვენდეთ და ეს ისედაც „ბასრი“ პუბლიცისტური კალამი უფრო აპირგელესოთ, „სიმართლისმფრქვეველო“.

აქამდე სახალხოდ არასდროს მითქვამს და ახლაღა ვიტყვი, თქვენს საპასუხოდ:

ნაცხროვის ზეობისას არც თავად ჰალსტუხჭამია, მკითხველმა მაპატიოს, ქვეშაფსია სააკაშვილის, და არც სხვა ნაცელიტელის მიზეზ-ბრძანება-მითითებით პირადად ჩემთვის არვის ერთი თეთრის საღირალი არაფერი არ წაურთმევია და არანაირად არ დავუზარალებივარ, რომ ამის გამო ნაციონალთა აუტანელი რეჟიმის სასტიკი წინააღმდეგი ვყოფილიყავი.

მაგრამ როგორც მოქალაქე, რომელიც ვხედავდი, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ზნეობრივად როგორ ანადგურებდა იგი ქვეყანას, თავისივე ზეობისას მას **გნაცმოძრაობა** ვუწოდე და **„გნაც ელი, ბიჭებო, წადით ხელისუფლებიდან-მეთქი“,** ვუწერდი გაზეთში.

ახლა რაც შეეხება „ქართულ“ ოცნებასა და მის ჩამომყალიბებელსაც.

პიროვნულად არასოდეს არც ერთი თეთრი არ მიმიღია მათგან. ცხადია, ამის არც პრეტენზია მქონია და არც გავბოროტებულვარ, მაგრამ როგორც მოქალაქეს, დიახაც, მქონდა და მაქვს მათდამი პრეტენზია, რადგან შელახული სამართლიანობის აღდგენის დაპირებები, რითაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ და რომელთა აღსრულება არც მეეჭვებოდა, არ შესრულდა.

**ამჯერად ჩემი ჟურნალისტური საძმოს სატკივარი მალაპარაკებს: როდესაც „ოცნებამ“ გაიმარჯვა, იმედი გაგვიჩნდა, რომ, უამრავი სხვა პრობლემა-გასაჭირის მოგვარების პარალელურად, იგი იზრუნებდა იმ რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთისა და ტელერედაქციის არაკაცურად შელახული უფლების თუნდაც ნაწილობრივ აღსადგენად, რომელი რედაქციებიც გნაცხროვამ 2007 წელს, 10 აგვისტოს, აბსოლუტურად უკანონოდ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სულ პანჩურის კვრით გამოგვყარა გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან (სხვათა შორის, ეს შენობა არასოდეს არ ყოფილა სახელმწიფოს საკუთრება, იგი კომუნისტების დროინდელი პარტიული ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა მოგების ხარჯზე აშენდა, პარტიული საკუთრება გახლდათ და, როგორც სასამართლო განხილვებისას საარქივო დოკუმენტების მონაცემებით დადგინდა, გაზეთ „კომუნისტის“ ბალანსზე ირიცხებოდა, როგორც ამ გაზეთის სტამბა-გამომცემლობა).**

**ასევე სხვათა შორის, ამ გამომცემლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ერთი დერეფანი, 1200 კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა.**

**და როგორ ვიფიქრებდით, რომ ახალი ხელისუფლება, რომლის დამფუძნებელიც თავისი საოცარი და გაუხმაურებელი ქველმოქმედებით იყო ცნობილი, განსაკუთრებით შემოქმედი, მეცნიერი და ხელოვანი ადამიანების მიმართ, იოტისოდენადაც არ გაატოკებდნენ თითს ჩვენი უკაცურ-უკანონოდ დარღვეული უფლებების ელემენტარულად აღსადგენად მაინც და, თუნდაც ჩვენს გაზეთს იმ წართმეული 1200 კვადრატული მეტრის მეექვსედი ნაწილის სადმე გამოყოფაში ან ამდენივე კვადრატული მეტრის ფართობის შეძენაში არ დაეხმარებოდა?**

**ლაპარაკია საქართველოს უძველეს გამოცემაზე „საქართველოს რესპუბლიკაზე“, რომელიც 1918 წელს დაარსდა, სამ წელიწადში ასი წლისა გახდება და რომლის სამართალმემკვიდრეც ჩვენ ვართ!**

**ეს, სამართლიანობის თუნდაც ნაწილობრივ აღდგენასთან ერთად უდიდესი დახმარება იქნებოდა ჩვენი გაზეთის რედაქციისთვის, რომლის გაძვალებული ბიუჯეტისთვის (მას გაძვალტყავებულს უკვე ვერ ვუწოდებთ, რადგან მისი ტყავი შაგრენის ტყავზე სწრაფად დაილია და გაქრა, ძვალიღა შეგვრჩა!) უმძიმესი ტვირთია 700 დოლარი, რომლის ეკვივალენტ ლარს ბინის ქირად ყოველთვიურად იხდის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ისედაც საოცრად დაბალი ხელფასის რამდენიმე თვის მანძილზე მიუღებელი და ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მომუშავე რედაქციის ჟურნალისტური საძმო.**

დიახ, საკმაოდ საფუძვლიანი პრეტენზია გვაქვს „ოცნებისა“ და მისი ხელმძღვანელობის მიმართაც, ბატონო დიმიტრი, მაგრამ ამას არ გავუბოროტებივართ, მხოლოდ საკუთარი სამრეკლოდან არ გვირეკავს ზარი, თეთრი შავად არ მოგვჩვენებია...

**როცა საჭირო იყო, „ოცნებაც“ გაგვიკრიტიკებია, თანაც საფუძვლიანად, მაგრამ მთავარი აქცენტი მაინც მუდამ პოზიტივზე გაგვიკეთებია, თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან ბევრი კარგი რამ გაკეთდა და კეთდება.**

**ის, რაც მიშას დროს კეთდებოდა, როდესაც იგი ხშირად ერთსა და იმავე საწარმოს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კარიდან, სამჯერ ხსნიდა, როდესაც სახლებსა თუ ბინებში გაზს ჩვენი ჰალსტუხღეჭია პრეზიდენტი ავტოცისტერნებიდან რეზინის მილებით შემოსული აირით ანთებდა, ახლაც რომ გრძელდებოდეს, „ცრუსთავი-2“-ის წყალობით სრულ იდილიაში ვიცხოვრებდით! მაგრამ „ოცნება“ პიარს რატომღაც არ სწყალობს. არადა, იგი ამ ეტაპზე საჭიროა არა თავის მოსაწონებლად, არამედ გაკეთებული კარგი საქმეების ხალხისთვის გასაცნობად, იმ ხალხისთვის, ვისაც ღვარძლ-ბალღამ-სიცრუე-ბოროტებით გნაცხროვის კიდობან-ტრუბადური „ცრუსთავი-2“ ყოველდღიურად ბანგავს.**

ჭკუას კი არ გასწავლით, ბატონო დიმიტრი! ღმერთმა დამიფაროს! რომელი მენტორი მე ვარ, მაგრამ ერთი რამ კი გამკვირვებია და უთუოდ უნდა გითხრათ.

შეურაცყოფად ნუ მიიღებთ, მაგრამ როგორ შეიძლება, რომ თქვენ და თქვენნაირებს ქათამმა გაჯობოთ, ბატონო დიმიტრი (რომელმა ქათამმა, ამაზე ქვემოთ გეტყვით)?

**სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ასე იანგლოთ და „იენამჭევროთ“ იმ დიდებულ პიროვნებაზე, ვინც ლამის მთლიანად დააფინანსა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა და ქართველობას ეს დიდებული სალოცავი გვაჩუქა?**

**სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ასე უდიერად მოიხსენიოთ ის „მეშურდულე“ (გოლიათისა და დავითის ანალოგიით ვამბობ, გადატანითი მნიშვნელობით, ცხადია, თორემ მიწის ცხვირით მხვნელი „მთავარსარდალი“ სააკაშვილი რომელი გოლიათი გყავდა!), ვინც ნაცხროვის სხვა, უფრო ელიტარულ წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც კობა ხაბაზის დონის ქვებუდანების 20-30-წლიანი მმართველობისგან გვიხსნა, როგორც ამას თავად ეს ბათუმელი „გენიოსი“ გვპირდებოდა?!**

ახლა კი დაპირებისამებრ, ზემოთ ნახსენებ ქათამზეც გეტყვით ორიოდ სიტყვას „კალამბასრო და ენამჭევრო პუბლიცისტო!“

**რომელ ქათამზე იცით? აი, იმაზე, რომელმაც ხალხური თქმით, წყალი რომ დალია, თურმე ღმერთს ახედა.**

თქვენ და თქვენნაირებს (როგორებს, ამას არ დავაკონკრეტებ, მკითხველი თვითონ მიხვდება!) ქათამმა როგორ უნდა გაჯობოთ?

**კიდეც სვამთ და კიდეც ჭამთ! ღმერთს ერთხელაც არ უნდა ახედოთ?**

ორი ვარიანტია: **ან ღმერთი არა გწამთ, ან, არადა, გინდ გეწყინოთ და გინდ არა, იმ ქათამზე უჭკუოები ხართ!**

დიახ, იმ ქათამზე, რომელმაც, ღმერთო მაპატიე, ამგვარი მკრეხელური შედარებისთვის, თქვენზე უკეთ იცის ღვთის ფასი!

**ჰოდა, ახლა სწორედ ამ ღმერთს მინდა მივმართო ამგვარი შეთამამებისთვის შეწყალება-პატიების თხოვნით: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო შეგვიწყალე ჩვენ!“**

**ღმერთო დაგვიფარე უგუნურობისა და უგუნურებისაგან, მორალურად და სულიერად განგვამტკიცე, წყალობა არ მოგვაკლო ქართველობას!**

**რუსლან რუსია.**

# როცა თვალში დირე გაქვს...

## საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამოფენო დარბაზში უკვე რამდენიმე დღეა, საინტერესო გამოფენაა მოწყობილი. „პასუხი ისტორიულ სიყალბეებზე“ — ასე ჰქვია ამ გამოფენას. თაროებზე ბოლო წლებში ქართველი ისტორიკოსების, ფილოლოგების, ენათმეცნიერების, დემოგრაფებისა და სხვათა მიერ დაწერილი და ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე გამოქვეეყნებული ნაშრომებია ჩამწკრივებული.**

წარმოდგენილი ლიტერატურის თემატიკა, მიზანდასახულობა და საერთო სულისკვეთება მხოლოდ ერთზე მიანიშნებს — დაიცვას საქართველოს ისტორია, კულტურა, ქართული სახელმწიფო არაკეთილმსურველი ვაიმეცნიერების შემოტევებისაგან, რომელთაც მიზნად დაუსახავთ დააკნინონ, გააყალბონ, მხოლოდ ცუდი თქვან ქართველი ხალხის წვლილზე მსოფლიო ცივილიზაციაში, სამხრეთ კავკასიაში სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მის ისტორიულ დამსახურებაზე.

ათვალიერებ გემოვნებით გაფორმებულ საგამოფენო თაროებს, კითხულობ ავტორთა გვარებს, ლიტერატურის დასახელებას და არ გასვენებს ფიქრები...

ძალაუნებურად გახსენდება დიდი ილია ჭავჭავაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შედევრი — „ქვათა ღაღადი“, სწორედ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ მიმართული, ლოგიკურად დასაბუთებული და მეცნიერულად საუკეთესო გამართული თხზულება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველების ეროვნული ცნობიერების გაღრმავებისა და განმტკიცების საქმეში. ამ ნაშრომში მხილებულნი არიან სწორედ ის ვაიმეცნიერები ახლო სამეზობლოდან, რომლებმაც პროფესიად გაუხდიათ სხვა ერების ისტორიის მითვისება — „ქურდობა“.

გახსენდება ქართველი ისტორიკოსების (აკად. მ. ლორთქიფანიძე, პროფ. შ. მესხია და სხვ.) ენერგიული ბრძოლა გრ. ვერმიშევისა და მის ფსევდოისტორიულ ოპუსში „ამიერსპასალარი“ ჩამოყალიბებული ანტიმეთცნიერული შეხედულებების წინააღმდეგ XX საუკუნის 60-იან წლებში, როცა იყო მცდელობა დაემკვიდრებინათ მოსაზრება „ქართულ-სომხური საკავშირო სახელმწიფოს“ არსებობის შესახებ უკვე XII-XIII სს.




თაროზე ჩამწკრივებული წიგნების ქრონოლოგია აშკარად მიანიშნებს — ფალსიფიკაციის ოდენობა და მასშტაბურობა, ინტენსივობა და მიზანსწრაფულობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, როცა საქართველომ საბოლოოდ გააკეთა არჩევანი დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებთან სტრატეგიული ურთიერთობისა და ევროკავშირში გაწევრების პროცესის დასაჩქარებლად.




სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდნენ რუსი, აფხაზი, ოსი, სომეხი „ისტორიკოსები“ (ეპიფანცევები, შიროკორადები, ბლიევები და სხვანი) და მათი სქელტანიანი ოპუსები, რომლებშიც „დასაბუთებულია“, რომ „საქართველო სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ სადღაც XVII საუკუნეში გაჩნდა“, რომ „მეგრელები, სვანები, თუშები და აჭარლები ქართველები არ არიან“, რომ აფხაზეთი „არასოდეს შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში“, „რომ ოსები ქართველებზე 400 წლით ადრე გახდნენ ქრისტიანები“ და ა.შ. და ა.შ.

სწორედ მსგავსი პასკვილების წინააღმდეგ მიმართული ქართველი მეცნიერების არგუმენტირებული და ლოგიკურად გამართული ნაშრომებია დავანებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგამოფენო დარბაზში.

რაოდენობის მხრივ თვალს გჭრის ნაშრომების ჯგუფი, რომელიც მიმართულია ქართულ-ოსური ურთიერთობის გამყალბებელთა წინააღმდეგ. ეს ხელოვნურად პროვოცირებული სისხლმდენი კონფლიქტი იწვევს იმის აუცილებლობას, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა გაიაზრონ მისი გამომწვევი მიზეზები. ნაშრომების ამ ჯგუფში სიუხვით გამოირჩევა გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის რ. თოფჩიშვილის რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომების მთელი რიგი: „Об осетинской мифологеме истории“, „Грузино-осетинские этноисторические очерки“, „Осетины в Грузин: миф и реальность“. და სხვ. არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს, რომ „ჩვენი გუშინდელი „მეგოებრები“ ცილს სწამებენ ჩვენს ხალხს, შეურაცხყოფენ და აკნინებენ მის კულტურასა და ისტორიას. ოსები არაფრისაგან, ხელოვნურად თხზავენ თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნის ისტორიას“.

„ისტორიამთხზველობა“ ახალი პროფესიაა, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებით საოცრად განვითარდა ჩვენს ახლო თუ შორეულ სამეზობლოში. განსაკუთრებით სცოდავენ ამ საქმეში აფხაზი „ისტორიკოსები“, რომლებიც საკუთარი ფანტაზიის ამარად არიან დარჩენილნი და უკან რუსეთის სპეცსამსახურების პროპაგანდისტული არმია უმაგრებს ზურგს. სწორედ მათი და მათი მფარველების მიერ გაყალბებული აფხაზეთის ობიექტური ისტორიის გაშუქების წარმატებული მცდელობაა გამოფენაზე წარმოდგენილი თხზულებების მთელი რიგი. აკად. მარიამ ლორთქიფანიძის ნაშრომში „აფხაზები და აფხაზეთი“ მოცემულია ღრმა და ლოგიკური დასაბუთება იმისა — რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიული პროვინციაა.

პროფ. ზ. პაპასკირის ნაშრომები, საერთოდ გამოირჩევა სამეცნიერო ნდობის მაღალი ხარისხით. გამოფენაზე წარმოდგენილია რუსულ ენაზე გამოცემული მისი რამდენიმე ნაშრომი. მათ შორის გამორჩეულია: „Абхазия – история без фальсификации (რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი), რომელშიც მოცემულია აფხაზეთის ნამდვილი და არა გამოგონებული ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის მოშველიებით ავტორი დამაჯერებლად მოგვითხრობს საქართველოს ძირძველ კუთხეზე — აფხაზეთზე, მისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით გამოყოფს რუსეთის დეზინტეგრაციულ როლს რეგიონში და ქართულ-აფხაზური გაუგებრობების წარმოშობა-განვითარების საქმეში.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროფ. ბადრი გოგიას ნაშრომს: „Абхазия – историческая провинция Грузии“... ავტორი დიდი ხანია, საზღვარგარეთ ცხოვრობს და ხელი მიუწვდება დასავლეთ ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებზე. ამიტომაც მან შეაგროვა და მკითხველს წარმოუდგინა დასავლეთ ევროპის საცავებში არსებული გეოგრაფიული რუკები (უძველესი ხანიდან გვიან შუა საუკუნემდე), რომლებიც ამტკიცებენ აფხაზეთის ორგანულ კავშირს საქართველოსთან, ქართულ სახელმწიფოსთან. წიგნში მოცემულია ანტიკური ეპოქის გეოგრაფოსთა მიერ დატოვებული რუკებიც (სტრაბონის, პლინიუს უფროსის, პომპინიუს მელასა და სხვათა), შუა საუკუნეების მოგზაურთა (არქანჯელო ლამბერტის, კასტელისა და სხვების) და ა.შ.

უაღრესად საინტერესოა ბეჟან ხორავას აფხაზებისა და ქართველებისათვის ერთობლივად ტრაგიკული ამბავის — მუჰაჯირობის თემისადმი მიძღვნილი საინტერესო ნაშრომი, რომელშიც, ასევე, გამოქვეყნებულია 1867 წელს სამშობლოდან ძალით გასახლებული ოჯახების შემორჩენილი სიებიც კი. სეპარატისტებს აშკარად არ ესიამოვნებათ ის გარემოება, რომ ამ სიაში №1 მუჰაჯირი — ეთნიკური ქართველია (მისი გვარი ძე-ზე ბოლოვდება).

გამოფენაზე წარმოდგენილ ნაშრომებს შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია გ. ჟორჟოლიანის, ლ. თოიძის, ს. ლეკიშვილისა და სხვების ერთობლივი პუბლიკაციები: „Исторические политико-правовые аспекты конфликта в Абхазии“ და „Исторические и политико-правовые аспекты грузино-осетинского конфликта. ამ ნაშრომებში მხილებულია ისტორიული სიცრუე და მოცემულია ხელოვნურად გაჩაღებული კონფლიქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები.







საგამოფენო სტენდზე ჩამწკრივებულია სპეციალური სერია, რომლის მიზანია საქართველოს ისტორიის სომეხი, ოსი და რუსი გამყალბებლების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა. ეს სერია შეიქმნა ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ინიციატივით და დღეს უკვე პოპულარული გახდა ისტორიკოსთა შორის.

მხედველობაში გვაქვს შემდეგი ნაშრომები: „Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии“, „Некоторые вопросы истории осети Шида Картли“, „Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии“. ამ კრებულებში თავმოყრილია ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების (აკად. მ. ლორთქიფანიძის, აკად. დ. მუსხელიშვილის, აკად. რ მეტრეველის, პროფ. ა. ბენდიანიშვილის, პროფ. ბ. შოშიაშვილის პროფ. მ. სამსონაძის, პროფ. ო. თოთაძის, პროფ. ო. ჯანელიძის და სხვათა და სხვათა) გამორჩეული ნაშრომები, რომლებიც ფსევდოისტორიების ნაცვლად გვთავაზობენ ისტორიულ დოკუმენტებსა და ლოგიკურ არგუმენტებზე დაფუძნებულ გამოკვლევებს, ააშკარავებენ ჩვენი ოპონენტების ტენდენციურობას, მათი მხრიდან მასალის არცოდნას, არაკომპეტენტურობას.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას ერთობლივი ნაშრომის: „Абхазия – историческая область Грузии“ შესახებ. ნაშრომმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება თავისი მნიშვნელობით, ობიექტურობითა და საქმის ცოდნით. მასში თავმოყრილია აფხაზეთის შესახებ საყურადღებო ისტორიოგრაფიული და დოკუმენტური მასალა, გაკეთებულია საყურადღებო კომენტარები აფხაზეთის ისტორიის საკმაოდ დიდი პერიოდის შესახებ.

აფხაზეთიდან დევნილი ქართველი ისტორიკოსების უდიდესი დამსახურებაა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული, მათი ხანგრძლივი შრომის შედეგი — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აფხაზეთი“. საგამოფერო სტენდზე წარმოდგენილია ნაშრომის რუსული და ინგლისური ვერსიები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ლიტერატურა, რომელშიც ასევე საქართველოს ისტორიის გამყალბებლები არიან მხილებულნი. ასეთია აკად. მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევა აფხაზებსა და აფხაზეთზე, ა. თოთაძის ოსებსა და ოსეთზე, ჯ. გამახარიასა და ლ. ახალაძის — აფხაზეთის ისტორიაზე, პოლიტიკასა და კულტურაზე.







ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ და ეს ქართველი ისტორიკოსების დიდი მონაპოვარია, თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის გამომცემლობასთან „ნოვა პუბლიშერთან“. მისი დირექტორი და მფლობელი ქართველი მანდილოსანი ნადია გოცირიძეა. მან მიზნად დაისახა მსოფლიოს გააცნოს ქართველი მეცნიერების მიღწევები. ამერიკელები განსაკუთრებით ხშირად ბეჭდავენ საისტორიო შინაარსის ნაშრომებს. ამ გამომცემლობამ ინგლისურ ენაზე გამოსცა სომეხი და რუსი ისტორიკოსების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ მიმართული ქართველი ისტორიკოსების ზემოთ, ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული ნაშრომები, გამომცემლობამ წარმატებით განახორციელა საქართველოს მართლმადიდებე-

ლი ეკლესიის ისტორიისადმი მიძღვნილი მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ნაშრომის პუბლიკაცია, დაბეჭდა აკად. დ. მუსხელიშვილის ავტორობითა და რედაქტორობით ქართველ ისტორიკოსთა მიერ მომზადებული „საქართველოს ისტორია“, მიმდინარე წელს გამომცემლობა გამოაქვეყნებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ქართველ ისტორიკოსთა (უ. ბლუაშვილი, ო. ჯანელიძე, დ. ჯოჯუა, გ. ყარყარაშვილი, მ. ბურდული და სხვ.) მიერ მომზადებულ ერთობლივ კრებულს.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის გაყალბება ჩვენს ახლო თუ შორეულ სამეზობლოში საქმიანობის საკმაოდ პოპულარული მიმართულებაა და ქართველი მეცნიერები (ბ. არველაძე, ალ. აბდალაძე, თ. იველაშვილი, ე. ბუბულაშვილი და სხვები) ენერგიულად იღვწიან მათი ფსევდომეცნიერულ გამოკვლევებში ჩამოყალიბებული ანტიქართული „ჭეშმარიტებების“ გასანეიტრალებლად.

ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობისაა ქართული წერილობითი ძეგლების თარგმნა და გამოქვეყნება. ეს საქმე განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ახლაც ქვეყნდება საინტერესო წყაროები, რომელთა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველებისათვის უძვირფასესი განძის – „ქართლის ცხოვრების“ რუსულ და ინგლისურ ენებზე თარგმნის შესახებ. აკად. რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით განხორციელებული ეს მეტად საჭირო საქმე მნიშვნელოვანი საფუძველია სწორედ საქართველოს ისტორიის გამყალბებლებთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სულ ახლახანს მოსკოვში დაბეჭდილი კაპიტალური წიგნის „Грузины“-ს შესახებაც. წიგნი ნამდვილად სერიოზული და მხვილყალიბიანი „იარაღია“ საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. მასში წარმოჩენილია ქართველი ერის ეთნოგენეზის, ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობა-განვითარების შესახებ ობიექტური ინფორმაცია, მოცემულია ქართველი ხალხის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპების მეცნიერული შეფასება, აღწერილია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა, ხალხური რელიგიური ცნობიერება, სოციალურ ურთიერთობათა პრაქტიკა, ანთროპოლოგია, წარმოჩენილია ხალხური ფოლკლორის, მხატვრულ-მუსიკალური შემოქმედების, ლიტერატურისა და პოეზიის აქტუალური საკითხები. ავტორთა შორის არიან აკადემიკოსები: თ. გამყრელიძე, დ. მუსხელიშვილი, ზ. ალექსიძე, ლ. მელიქიშვილი, პროფესორები და დოქტორები: ლ. ბერიაშვილი, ვ. ითონიშვილი, თ. ოჩიაური, ნ. მაისურაძე და მრავალი სხვა.

დაბოლოს, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგამოფენო დარბაზში თავმოყრილი ნაშრომები – ეს მავანთა მიერ საქართველოს მიმართ აგორებული იდეოლოგიური დივერსიის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის კიდევ ერთი ენერგიული მცდელობაა. სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებათმცოდნეების მიერ დაწყებული ეს საჭირო და დროული საქმიანობა ძირითადად მეცნიერთა ენთუზიაზმის ხარჯზე სულდგმულობს (ამ კონტექსტში ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ფირმა „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობის ინტენსიური მხარდაჭერისა და მატერიალური დახმარების შესახებ, ურომლისოდაც ბევრი საჭირო პროექტი ვერ განხორციელდებოდა) და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას.

უკვე ვამთავრებთ ჩვენს თხრობას...

მკითხველი ჩაგვეკითხება – თუკი ამდენი ღირსეული და სწავლული ქართველი მეცნიერი ქართულ, რუსულ ინგლისურ და სხვა ენებზე ჭეშმარიტებას ღაღადებს და ეს ჭეშმარიტება მართალია, მაინც საიდან მოდის ამდენი ფალსიფიკატორი?

ჩვენ ვუპასუხებდით – „როცა თვალში დირე გაქვს“, ჭეშმარიტებას ვერც დაინახავ და ველარც გაიგონებ...

**დავით მუსხელიშვილი,**
აკადემიკოსი.

**ალექსანდრე დაუშვილი,**
პროფესორი.

## ალიან-ჩალიანი

### „როსპოტრებნადზორმა“ ქართული ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხი დაიწუნა



ქართველი მეღვინეები სისტემატურად არღვევენ ტექნოლოგიებს, ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოები კი, არასაკმარისად აკონტროლებენ გამოშვებულ პროდუქციას. ამის შესახებ სააგენტო „რია ნოვოსტის“ „როსპოტრებნადზორში“ განუცხადეს.

„ხარისხის ანალიზი და მოწოდებული პროდუქციის უსაფრთხოება ადასტურებს წარმოების ტექნოლოგიის დარღვევებსა და არასაკმარის კონტროლს გამოშვებულ პროდუქციაზე როგორც მწარმოებლის, ისე საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოების მიერ“, – განაცხადეს რუსეთის სანიტარიული უწყების პრესსამსახურში.

უწყების ცნობით, 2015 წელს რუსეთში საქართველოს 45 მწარმოებლის მიერ მთლიანობაში 6,7 მილიონი ლიტრი პროდუქცია შევიდა, საიდანაც პროდუქციის 10 პარტია გამოვლინდა (კონიაკი „ძველი კახეთი“, „კოლხიდა“, „საფერავი“), რომლებიც ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. მათივე ინფორმაციით, პროდუქციის ყველა პარტია, რომელიც მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, რუსეთის ტერიტორიაზე არ დაუშვეს.

### როგორც ჩანს, რუსეთი საქართველოსთან ვაჭრობის შესაძლო შეზღუდვას სანქციებზე შარშანდელ გადაწყვეტილებას უკავშირებს

როგორც ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რუსეთის სხვადასხვა უწყებებში გაკეთდა კომენტარები და მინიშნებები იმის თაობაზე, რომ „როსპოტრებნადზორის“ განცხადება და საქართველოსთან ვაჭრობის შესაძლო შეზღუდვა, შესაძლოა, საქართველოს მიერ ევროკავშირის ერთ-ერთ სანქციასთან შეერთებას უკავშირდებოდეს.



„ჩვენ უკვე გავაკეთეთ კომენტარი იმის თაობაზე, რომ საქართველო შარშან შეუერთდა ევროკავშირის მიერ დაწესებული 15-მდე სანქციიდან ერთ-ერთს, რომელიც დაკავშირებულია ყირიმსა და სევასტოპოლში წარმოებული პროდუქციის ექსპორტთან. ეს სანქცია წელს ავტომატურ რეჟიმში გაგრძელდა და 2015 წელს, სანქციებთან მიერთების თვალსაზრისით, საქართველოს რაიმე ახალი ნაბიჯი არ გადაუდგამს. როგორც ჩანს, რუსეთის მხარე, რუსეთის უწყებების ინფორმაციით, შარშანდელ გადაწყვეტილებას უკავშირებს საქართველოსთან ვაჭრობის შესაძლო შეზღუდვას, რაც, ჩვენი აზრით, არასწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან ერთ-ერთი მთავარი ხელშესახები შედეგი, რომელიც 2012 წელს დაწყებულმა ქართულ-რუსულმა ორმხრივმა დიალოგმა მოიტანა, სწორედ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაა“, – განაცხადა აბაშიძემ.

### თბილისი-მოსკოვის მიმართულებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა 74 პროცენტით გაიზარდა

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის საანგარიშო პერიოდში ორივე ქვეყნის მიერ დანიშნული ავიაკომპანიის მიერ გადაყვანილია ჯამში 143,169 მგზავრი, რაც 74 პროცენტით (60,953 მგზავრით) მეტია 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (82,216 მგზავრი).

### 7 ნოემბრის საქმეზე გიგი უგულავას, ზურაბ ადეიშვილის, მიხეილ სააკაშვილისა და დავით კეზერაშვილის მიმართ პატიმრობა ძალაში რჩება

თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 ნოემბრის საქმეზე გიგი უგულავას, ზურაბ ადეიშვილის, მიხეილ სააკაშვილისა და დავით კეზერაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ძალაში დატოვა. კიდევ ერთ ბრალდებულს ვანო მერაბიშვილს კი ამ საქმეზე აღმკვეთი ღონისძიება საერთოდ არ აქვს შეფარდებული.

როგორც მერაბიშვილის ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა განაცხადა, პროცესზე სასამართლომ დაარღვია დაცვის მხარის უფლება, რადგან ადვოკატებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება არ მისცა.

„ეს სავალდებულოა. დღევანდელი პროცესი 230-ე პრიმა მუხლიდან გამომდინარე ჩაინიშნა სასამართლოს ინიციატივით. მივედით და სასამართლომ მოისმინა მხოლოდ ბრალდების მხარის პოზიცია. ჩემმა კოლეგამ ოთარ კახიძემ მოითხოვა გარკვეული დრო პოზიციის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, სასამართლომ არც დრო მოგვცა, არც პოზიცია ჩამოგვაყალიბებინა და პირდაპირ გამოაცხადა გადაწყვეტილება, რომ უცვლელად ტოვებს პატიმრობაში ამ პირებს“, – განაცხადა ადვოკატმა.

ინტერპრესი

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

## სს „ელმავალმშენებელი” 2015 წლის 06 აგვისტოდან აცხადებს აუქციონს:

| ლოტი № | მოდელი | გამოშვების წელი | ძრავის მოცულობა | ფერი | გარბენი, კმ | გადაცემათა კოლოფი | საწყისი სააუქციონო ღირებულება, აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Nissan Patrol GR | 1996 | 2,8 | შავი | 316352 | მექანიკური | 4 500 |
| 2 | Mercedes-Benz S500 | 2003 | 5,0 | შავი | 119125 | ტიპტრონიკი | 7 500 |
| 3 | Toyota Land Cruiser | 2003 | 4,2 | შავი | 678132 | მექანიკური | 7 000 |
| 4 | МАЗ 53371 | 1987 | | ყვითელი | | მექანიკური | 3 000 |
| 5 | МАЗ 500 | 1969 | | ლურჯი | | მექანიკური | 3 000 |

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე” ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**USD-Account:** Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

**GEL-Account:** სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22,
სს „ელმავალმშენებელი”, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აუქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წაგების შემთხვევაში „ბე” მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საქონელზე საკუთრების უფლება და „ბე” არ დაუბრუნდება.

სხვა კონკრეტული დეტალები დაზუსტებული იქნება პრეტენდენტთან გასაფორმებულ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმი დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე (ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 20 აგვისტოს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
2. „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დაფიქსირება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის პირობების და გამოტანილი საქონლის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707, 5 77 003 521

**სს „ელმავალმშენებელის” მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.**

◉ ბიჭო, ვისი ხარ, „მალხაზი?“

# რას გვიმტკიცებს ქართველი მამაკაცი ვანგა?

## ვინ არის ვალერი გელბახიანი?

(მეორე გვერდიდან) მოვლენების შემდგომი განვითარება ყველას კარგად ახსოვს. სააკაშვილმა, თავად სახელმწიფო ინტერესების უგულებელმყოფელმა, პატარკაციშვილი და გელბახიანი სამშობლოს ღალატში დაადანაშაულა. გელბახიანმა იმდენი „ივაჟკაცა“, რომ სააკაშვილის მართლმსაჯულებას საზღვარგარეთ გაქცევით თავი დააღწია. ესეც არარეალურად გამოიყურება. მან იქ ოთხი წელი დაჰყო. ესეც წარმოუდგენელია — უმუშევარ ადამიანს, ოთხი წლის განმავლობაში ნორმალურად უცხო გარემოში თავი გააქვს. ამის შემდეგ გელბახიანი საქართველოში ბრუნდება: ხმას უბატონოდ არავინ სცემს. ნუთუ ოთხი წელი ის ვადაა, რის შემდეგ სამშობლოს მოღალატეს უნდა ეპატიოს?! — აპატიეს და, სავარაუდოა, სააკაშვილისგან გელბახიანმა ახალი დავალება მიიღო — დაახლოებოდა ბიძინა ივანიშვილს. რასაკვირველია, ბატონმა ბიძინამ ადვილად გამოიცნო გელბახიანის პერსონა და იგი ახლოსაც არ გაიკარა. ამის შემდეგ მან ხელი ჩაიქნია ამ განზრახვაზე და „ოცნების“, პირადად ივანიშვილის ლანძღვა-გინება დაიწყო.

სად გაგონილა, სამშობლოს მოღალატე ინდივიდი (სააკაშვილმა ეს მძიმე ბრალდება წაუყენა გელბახიანს, რაშიც კატეგორიულად არ ვეთანხმებით, ის მოღალატე გამოდგა, რასაკვირველია, ჩვენი მოსაზრებით, პატარკაციშვილისა, რასაც ორთოდოქსად არ მივიჩნევთ, თუ ვინმე ჩვენს არგუმენტებს საფუძვლიანად გააქარწყლებს, საწინააღმდეგო არაფერი გვექნება) მბრალდებელთა წინაშე გააქტიურდეს და, პირიქით, სხვებს დასწამოს, რასაც სულ ცოტა ხნის წინათ მას სწამებდნენ.



გელბახიანის დემაგოგიამ აპოგეას მიაღწია ტელემაუწყებელ „ობიექტივის“ წამყვანთან სტუმრობისას. მან ხომ მიწასთან გაასწორა „ოცნება“ და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი... წამყვანი ეკითხება გელბახიანს: **ნუთუ რაიმე წარმატება არ აქვს „ოცნებას“? იგი პასუხობს, — არა... წარმატება კი არა, ბევრ სფეროში უკუსვლაც კი შეიმჩნევა სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან შედარებით.**

ახლა ჩვენ ვუსვამთ კითხვას გელბახიანს: **ნუთუ ვერ აცნობიერებს იმას, რომ სააკაშვილმა თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანით დიდი ეროვნული დანაშაული ჩაიდინა, რისთვისაც მას სასჯელის უმაღლესი ზომა ეკუთვნის. ამჟამად „ოცნება“ ყოველნაირად ცდილობს პარლამენტი თბილისში დააბრუნოს. აღარაფერს ვამბობთ კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარის შეყვანაზე, რაც დანაშაულის ტოლფასია, ხოლო ცხინვალის დაბომბვა დანაშაულის ყოველგვარ ზღვარს სცილდება, რამაც ახალგორის და კოდორის ხეობა დაგვაკარგვინა და სხვა მძიმე პრობლემები გამოიწვია; ნუთუ გელბახიანი ვერ აცნობიერებს იმას, რომ ციხეებში დამყარდა წესრიგი, რასაკვირველია, იდეალურზე არ გვაქვს საუბარი; თვით სააკაშვილი და მისი რეჟიმის დამმკვიდრებელნი ბრალდებულნი არიან, ზოგი სასჯელს იხდის, ბევრმა მათგანმა საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს. ეს ხდება მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის სახელმწიფოების მხრიდან დიდი ზეწოლაა, რათა სააკისტებს აპატიონ ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული; ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, თუ რა ძვრები მოხდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.**

დაბოლოს, ტელეწამყვანი ეკითხება გელბახიანს: **მომავალ არჩევნებში „ოცნება“ კვლავ უმრავლესობით მოვა?“** — პასუხობს: **რის უმრავლესობით, დიდი ალბათობაა მანამდე ხალხი აუჯანყდეს „ოცნებას“, ხოლო მისი წარმომადგენლები პარლამენტიდან და მთავრობიდან გაყარონ.** ეს უკვე საჯაროდ მოწოდებაა აჯანყებისკენ, რაც დანაშაულის ტოლფასია.

ვფიქრობთ, გელბახიანი ამჯერადაც სააკაშვილის დავალებით ირჯება, მაგრამ ამაოდ.

თქმა არ უნდა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უღალატა (რამდენი მოღალატე წარმოჩნდა ბოლო ხანს) „ოცნებას“, რომელმაც ესოდენ დიდი თანამდებობა უბოძა მას. მარგველაშვილმა უკვე გამონახა გზები იმ არასამთავრობოებთან დასაახლოებლად, რომელთა ქმედება ქვეყნის ინტერესებიდან როდი გამომდინარეობს. თვალნათლივ ჩანს „თავისუფალ დემოკრატებთან“ პრეზიდენტის „სულიერი“ თანხვდენილობა. ჯერჯერობით ცალცალკე მოქმედებენ მარგველაშვილი, ზემოხსენებული არასამთავრობოები, „თავისუფალი დემოკრატები“ და ეგრეთ წოდებული ნაციონალები, მაგრამ ერთ საქმეს აკეთებენ — **როგორმე უკიდურესად გაამწვავონ მდგომარეობა — ამით გამოიწვიონ არეულობა, რათა ამ ქაოსში საწადელს მიაღწიონ.**

არც გელბახიანია უმოქმედოდ. თვითონაც განაცხადა: **რაც არ უნდა დამიჯდეს, პრეზიდენტს უნდა შევხვდე, წარმვუდგინო ჩემი მოსაზრებანი.**

გელბახიანი ვერ აცნობიერებს იმ გარემოებებს, რომ ტელემაუწყებელ „ობიექტივის“ ეთერში გამოსვლისას მან საბოლოოდ მთლიანად გამოააშკარავა საკუთარი თავი და მის ქცევაში მრავალმა ადამიანმა დაინახა ის, რასაც წარმოადგენს ეს ინდივიდი; **დაინახა ის, რომ მისი საჯარო გამოსვლები „ნაციონალების“ დემაგოგიასთან თანხვდენილია.**

დასაშვებია, გელბახიანი თავის ქმედებებში გულწრფელია და მრავალი შეცდომა მოუვიდა და მოსდის. გასაკვირი არაფერია. ყველას მოსდის შეცდომები, მაგრამ მარტივი ლოგიკა იმასაც გვიმტკიცებს, რომ ეს შეცდომები და წინასწარმეტყველებები (იგი ხშირად ვანგას ბაძავს) გამომდინარეობს დამკვეთის ინტერესებიდან. აი, ამაზე უნდა დაფიქრდეს ქართველი საზოგადოება.

კიდევ უფრო გასაკვირია ის გარემოება, რომ ქართველ საზოგადოებას ჯერხნობით უჭირს კარგისა და ცუდის გამკეთებლის ვინაობის გამოცნობა, კეთილსა და ბოროტს შორის დიდი სხვაობის აღმოჩენა, საერთოდ კი იმის მიხვედრა, რა არის საჭირო ქვეყნის აწმყო და სამომავლო კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის.

დროა, ფხიზლად დავდგეთ, რათა ავისმქმნელებმა სამოქალაქო ომი არ გამოიწვიონ და საქართველო მოქიშპე დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების სარბიელად არ გადააქციონ.

**გივი ჯახუა**

◉ კაკალ გულში

## წრიპინთაური თეზები

● თამარ კორძაიამ განაცხადა რომ — „რესპუბლიკური პარტია“ 2016 წლის არჩევნებისთვის დამოუკიდებლად მოქმედებას არ აპირებს“, ანუ „დავესკაში“ ოცნებას აუცილებლად რეპუბლიკელები მოჰყვება,სწორია აბა ისე რა გაასაღებს ამ ჩაწოლილ საქონელს.

მოკლედ, სამუდამოდ შეეტენა ოცნებას ეს პარტია,შესაბამისად მაგათ პატიოსანი კაცი ხმას აღარ მისცემს!!!

● აი ის ტიპები, მაინცდამაინც მანქანით (პრადოზე ნაკლები მოცულობის არა) რომ უნდა შევიდნენ მარკეტში პურის სექციასთან!

● რას ერჩით სინდისგარეცხილებს? — მათ სუფთა სინდისი აქვთ. სინდისდაუთოებულებს ერიდეთ!

● „ქრონიკის“ წამყვანმა ნინო ჭანტურაიამ, რომელიც ძალიან მომწონს გარეგნობითაც და დიქციაც მშვენიერი აქვს, ისეთი წინადადება იხმარა, ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ დაწერილ ტექსტს კითხულობდა: ძებნის პროცედურა მიმდინარეობსო...

ნინო, „ეძებენ“, გოგო, „ეძებენ“! არა უშავს, მაინც კაი გოგო ხარ, შენ!

● პოროშენკომ ბურჯანაძეს: — ტიჟ მენე პიდმანულაო?

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

# სატენდერო მოწვევა

საქართველო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის მეორე გზების პროექტი (SLRP II) (P122204)
სატენდერო მოწვევა #SLRP II/CW/ICB-10

**კახეთის რეგიონში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში**

1. საქართველოს მთავრობამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება კონტრაქტის - **კახეთის რეგიონში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის ფარგლებში სამუშაოების ასანაზღაურებლად.**

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს, რომ განახორციელოს საცდელი შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული საგზაო კონტრაქტები (OPRC), რათა ამ მეთოდის გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნას მდგრადი და ხარჯთ-ეფექტური საგზაო აქტივების მართვა და ამავდროულად დაკმაყოფილდეს გზებით მოსარგებლეთა საჭიროებები. საცდელი პროექტი მოიცავს დაახლოებით **117 კმ** სიგრძის საგზაო ქსელს, რომელიც ერთ პაკეტში აერთიანებს საფარიან გზებს. კონტრაქტის განხორციელების პერიოდია **60 თვე.**

3. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - “მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)” და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ირაკლი ლითანიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; ყველა მიმდინარე სასამართლო/საარბიტრაჟო პროცესი არ უნდა წარმოადგენდეს პრეტენდენტის წმინდა ღირებულების ოც პროცენტზე მეტს (20%), ამავდროულად ყველა მიმდინარე დავა ჩაითვლება როგორც გადაწყვეტილი პრეტენდენტის წინააღმდეგ.

ბ. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში (2010, 2011, 2012, 2013, 2014 და მიმდინარე 2015 წელი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე) მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა 9,000,000 (ცხრა მილიონი) აშშ. დოლარის ოდენობით, რომელიც დაითვლება მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული გადასახადებიდან;

გ. ლიკვიდური აქტივები და/ან საკრედიტო საშუალებები, გარდა სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და ნებისმიერი სახის წინასწარი გადახდების გამოკლებით, რომელსაც შესაძლოა კონტრაქტი ითვალისწინებდეს, უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2,500,000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარს.

დ. ერთობლივი საწარმოს წევრის, კონტრაქტორის, მენეჯმენტ კონტრაქტორის ან ქვე-კონტრაქტორის სახით მონაწილეობის მიღება მინიმუმ ერთი (1) გზის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მშენებლობის და/ან მოვლა–შენახვის კონტრაქტში უკანასკნელი ხუთი (5) წლის განმავლობაში (2010, 2011, 2012, 2013, 2014 და მიმდინარე 2015 წელი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე) ღირებულებით არანაკლებ 9,400,000 (ცხრა მილიონ ოთხასი ათასი) აშშ. დოლარი ან ორ (2) კონტრაქტში, ღირებულებით არანაკლებ 4,700,000 (ოთხი მილიონ შვიდასი ათასი) აშშ. დოლარი, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და ძირითადად დასრულდა[1] და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული სამუშაოების და მომსახურების ანალოგიურია.

ე. მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად აქტივობებში:
- საფარიანი გზების დეტალური პროექტირება;
- 100 000 $მ^2$ გზის საფარის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობა - სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე უკანასკნე-

ლი 3 წლიდან (2012, 2013, 2014 და მიმდინარე 2015 წელი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე) რომელიმე ერთი წლის განმავლობაში;

- არანაკლებ 100 კმ საგზაო ქსელის მოვლა - შენახვის გამოცდილება სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე, უკანასკნელი 3 წლიდან (2012, 2013, 2014 და მიმდინარე 2015 წელი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე) რომელიმე ერთი წლის განმავლობაში;

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები ტენდერის მონაწილის საპროექტო კონსულტანტისათვის:

ვ. სატენდერო წინადადების წარდგენამდე ბოლო ექვსი (6) კალენდარული წლის განმავლობაში (2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 და მიმდინარე 2015 წელი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე) კონსულტანტს განხორციელებული უნდა ჰქონდეს მსგავსი პროექტები, რომლის ფარგლებში განხორციელდა:

- საფარიანი გზების რეაბილიტაციის / რეკონსტრუქციის / მშენებლობის პროექტირება.

ზ. შემდეგი საკონსულტაციო გამოცდილება:

გზის პროექტირების ორი (2) პროექტი (საკონსულტაციო) დეტალური პროექტის მომზადება რეაბილიტაციის / რეკონსტრუქციის / მშენებლობის სამუშაოებისთვის უკანასკნელი ექვსი (6) (2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 და მიმდინარე 2015 წელი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის თარიღამდე) წლის განმავლობაში (თითოეული საკონსულტაციო პროექტი ღირებულებით არანაკლებ 300,000 (სამასი ათასი) აშშ დოლარი.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
შუამავალი:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

7. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 6 ნოემბრის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით.** წინადადებები ელექტრონული ფორმით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2015 წლის 6 ნოემბრის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 600,000 (ექვსასი ათასი) ლარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ექვივალენტის ოდენობით. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის (180 დღე) გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში.

9. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
შესყიდვების სამმართველო, IV სართული
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 322 37-05-08 დამ. 305
ფაქსი: + 995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდის მისამართი: www.georoad.ge

**[1] სამუშაოების ძირითადად დასრულება გულისხმობს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 80%–ის ან მეტის დასრულებას**

# INVITATION FOR BIDS

**Georgia**
**Ministry of Regional Development and Infrastructure**
**Roads Department**
**Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) (P122204)**
**Bid Invitation No: SLRP II/CW/ICB-10**

**Rehabilitation and Maintenance of Roads in Kakheti Region under Output- and Performance-based Contracting (OPRC)**

1. The Government of Georgia, Ministry of Regional Development and Infrastructure, Roads Department has received a financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and it intends to apply the proceeds to payments under **Contract for Rehabilitation and Maintenance of Roads in Kakheti Region under Output- and Performance-based Contracting (OPRC).**

2. The Roads Department of Georgia intends to pilot Output- and Performance-based Road Contracts (OPRC) as a method for achieving sustainable and cost effective road asset management whilst at the same time meeting the needs of road users. The pilot project is expected to cover a road network size of about **117 km** comprising paved roads in a single package. Implementation period of the contract is **60 months.**

3. Procurement of works will be conducted through the procedures of International Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

4. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Irakli Litanishvili, Vice-Chairman of the Roads Department of Georgia at the address below from 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

*a. The evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation; All pending litigation shall in total not represent more than twenty percent (20 %) of the Bidder's net worth and shall be treated as resolved against the Bidder.*

b. Minimum average annual turnover of US$ 9,000,000 (Nine Million United Stated Dollars), calculated as total certified payments received for contracts in progress or completed, within the last five (5) years (2010, 2011, 2012, 2013, 2014 and ongoing 2015 until bid submission deadline);

c. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 2,500,000 US$ (Two Million Five Hundred Thousand United States Dollars).

*d. Participation as JV member, contractor, management contractor, or subcontractor, in at least one (1) road rehabilitation / reconstruction / construction and/or maintenance contract within the last five (5) years (2010, 2011, 2012, 2013, 2014 and ongoing 2015 until bid submission deadline), with a value of at least US$ 9,400,000 (Nine Million Four Hundred Thousand United States Dollars), or two (2) contracts, each with a value of at least US$ 4,700,000 (four million seven hundred thousand United States Dollars) that have been successfully and substantially[1] completed and that are similar to the proposed Works and Services.*

e. Minimum experience in the following key activities:

- *Detail Design of paved roads;*
- *100 000m2 of pavement rehabilitation / reconstruction / new construction in at least 1 year in the last 3 years prior to bid submission deadline (2012, 2013, 2014 and ongoing 2015 until bid submission deadline);*
- *Road maintenance experience for at least 100km road network in at least 1 year in the last 3 years prior to bid submission deadline (2012, 2013, 2014 and ongoing 2015 until bid submission deadline);*

Minimum qualifying criteria for Bidder's Project Consultant:

f. Over the period of the last six (6) calendar years prior to bid submission, the Consultant has implemented similar projects requiring (2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 and ongoing 2015 until bid submission deadline):

- *Paved Road Rehabilitation/Reconstruction/New Construction Design;*

g. The following Consulting experience:

- *Two (2) Road Design projects (Consultancy) for Detail Design of Rehabilitation/Reconstruction/New Construction works within the last six (6) years (2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 and ongoing 2015 until bid submission deadline) (Value of each Consultancy Project at least US$300,000).*

6. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a non-refundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than **November 06, 2015, 17:00 Hours local time.** Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend public bid opening on **November 06, 2015, 17:00 Hours local time.**

8. All bids should be submitted together with the Bid Securities for the amount of **600,000 GEL** or equivalent in a freely convertible currency. The bid security shall be valid for twenty-eight (28) days beyond the original validity period of the bid.

9. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and
Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

**1 Substantial completion shall be based on 80% or more works completed under the contract.**

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანების საფუძველზე:**

**სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42+000-კმ51+570 მონაკვეთზე დაგეგმილია პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.**

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) მონაკვეთისათვის დამუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა. განსახლების გეგმით გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/303 ბრძანება, რომლის თანახმად 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 30 ივლისს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 17 აგვისტოსთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად. უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. ლაშა ტუღუშის (პ/ნ:26001001189) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 27.15.50.004, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 7503 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 1541 კვ.მ;

2. ზვიად სარალიძის (პ/ნ:26001000487) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №27.15.50.001, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 5448კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 1007 კვ.მ.

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანების საფუძველზე:**

**აღმოსავლეთ-დასავლეთის საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტით ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის მონაკვეთზე დაგეგმილია რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამუშაოების განხორციელება.**

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის მონაკვეთისათვის დამუშავდა განსახლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 4 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2015 წლის 17 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/303 ბრძანება, რომლის თანახმად 4 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 30 ივლისს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 17 აგვისტოსთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად. უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. ბადრი კილაძის (პ/ნ: 53001008512) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 29.14.32.172, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 50 000 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 13 კვ.მ;

2. ბადრი კილაძის (პ/ნ: 53001008512) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 29.14.32.174, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 3651კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 3651 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

3. ბადრი კილაძის (პ/ნ: 53001008512) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 29.14.32.374, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 158 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 158 კვ.მ;

4. ბორის გოგბერაშვილის (პ/ნ: 53001016567) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 29.14.31.254, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 800 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 97 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

# დედამიწის ზურგზე




**აშშ-ში დადგეს უკრაინაში შიმშილის მსხვერპლთა ძეგლი**

**ნებართვა მემორიალის დადგმის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა წარუდგინა უკრაინის მთავრობას ჯერ კიდევ 2006 წელს. პროექტს ეწოდება „ხორბლის ველი“ და წარმოადგენს კედელს, რომელზეც წარმოსახულია ხორბალი და მას ქვეშ აწერია Holodomor 1932–1933. ძეგლის საზეიმო გახსნა გათვალისწინებულია 7 ნოემბრისათვის.**

**უკრაინის უშიშროების საბჭოში განაცხადეს, რომ პუტინის ხალხი გვთავაზობს გავცვალოთ სავჩენკო ყირიმში გზის გზაგამყვანზე**

**როგორც უკრაინის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველმა იური ტანდიტმა განაცხადა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის გარემოცვიდან ერთ-ერთმა პიროვნებამ თითქოსდა შესთავაზა „თავის უფლებამოსილებათა შესაბამისად“ განიხილოს საკითხი ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლების შესახებ პრინციპით „ჩვენ თქვენ გთავაზობთ ნადეჟდა სავჩენკოს, თქვენ კი მოგვეცით მოვაწყოთ გზაგამყვანი როსტოვიდან ყირიმში“.**

**ინდოეთში ხიდიდან მდინარეში ორი მატარებელი ჩავარდა: სულ ცოტა 32 კაცი დაიღუპა**



**საგანგებო შემთხვევა მადხია-პრადეშის შტატში მოხდა კვირას რამდენიმე წუთის ინტერვალით. ალბათ, ხიდი გამოაფლატა უხვმა კოკისპირულმა წვიმებმა. წყალში 10 ვაგონი აღმოჩნდა.**

**კოლუმბიაში პოლიციის შვეულმფრენი დაიმსხვრა: 16 დაღუპულია**

**Black Hawk, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ნარკოკარტელის წინააღმდეგ ოპერაციაში, დაეჯახა მთას ჯუნგლებიდან შორეულ რაიონში ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ავარიის შედეგად 16 კაცი დაიღუპა, ორის გადარჩენა შეძლეს.**

**ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკელებმა განსაზღვრეს ფავორიტების ათეული პირველი წინასაარჩევნო დებატებისათვის**



**დებატები გაიმართება პარასკევს ღამით. ფავორიტებს შორის არ აღმოჩნდა რამდენიმე ცნობილი კანდიდატი — მათთვის მოაწყობენ „მანუგეშებელ“ რაუნდს. კანდიდატების ტელეეთერში დაშვება გადაწყვიტეს შეეზღუდათ „დინამიურობის“ გულისათვის.**

№146. ხუთშაბათი, 6 აგვისტო, 2015 წელი.

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანების საფუძველზე:**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხორციელდება აჭარის შემოვლითი გზის განვითარების პროექტი (ქობულეთის შემოვლითი გზის კმ.12+400-კმ31+259 მონაკვეთის მშენებლობა).**

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ12.4-კმ31.259 მონაკვეთისათვის დამუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა. განსახლების გეგმით გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 8 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/303 ბრძანება, რომლის თანახმად 8 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 30 ივლისს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 17 აგვისტოსთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად. უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. თემურ კონცელიძის (პ/ნ:61004033872), ლაშა კონცელიძის (პ/ნ: 61004036628), მაია კონცელიძის (პ/ნ: 61004036566), მერი კონცელიძის (პ/ნ: 61005006717), შოთა კონცელიძის (პ/ნ: 61004062468), ციალა მახაჭაძის (პ/ნ: 61004033871) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.47.04.082, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 1479 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 1479 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

2. თემურ კონცელიძის (პ/ნ:61004033872), ლაშა კონცელიძის (პ/ნ: 61004036628), მაია კონცელიძის (პ/ნ: 61004036566), მერი კონცელიძის (პ/ნ: 61005006717), შოთა კონცელიძის (პ/ნ: 61004062468), ციალა მახაჭაძის (პ/ნ: 61004033871) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.47.04.083, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 520 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 520 კვ.მ;

3. თემურ კონცელიძის (პ/ნ:61004033872), ლაშა კონცელიძის (პ/ნ: 61004036628), მაია კონცელიძის (პ/ნ: 61004036566), მერი კონცელიძის (პ/ნ: 61005006717), შოთა კონცელიძის (პ/ნ: 61004062468), ციალა მახაჭაძის (პ/ნ: 61004033871) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.47.04.087, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 458 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 458 კვ.მ;

4. ბადრი სურმანიძის (პ/ნ: 61005010102), გოჩა სურმანიძის (პ/ნ: 61004062496), ეთერ სურმანიძის (პ/ნ: 61004031988), თეონა სურმანიძის (პ/ნ: 61004062460), ირინე სურმანიძის (პ/ნ: 61004043883), ნანული სურმანიძის (პ/ნ: 61005009155) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №20.47.04.085, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 1513 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 1513 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

5. ბადრი სურმანიძის (პ/ნ: 61005010102), გოჩა სურმანიძის (პ/ნ: 61004062496), ეთერ სურმანიძის (პ/ნ: 61004031988), თეონა სურმანიძის (პ/ნ: 61004062460), ირინე სურმანიძის (პ/ნ: 61004043883), ნანული სურმანიძის (პ/ნ: 61005009155) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 20.47.04.086, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 988 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 549 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

6. ბადრი სურმანიძის (პ/ნ: 61005010102), გოჩა სურმანიძის (პ/ნ: 61004062496), ეთერ სურმანიძის (პ/ნ: 61004031988), თეონა სურმანიძის (პ/ნ: 61004062460), ირინე სურმანიძის (პ/ნ: 61004043883), ნანული სურმანიძის (პ/ნ: 61005009155) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №20.47.04.089, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 1207 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 1207 კვ.მ;

7. ვახტანგ გორგაძის (პ/ნ: 6100500044) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №20.47.04.001, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 3974 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 997 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მრავალწლიანი ნარგავები;

8. ვახტანგ გორგაძის (პ/ნ: 6100500044) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №20.48.05.528, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 1018 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 74 კვ.მ.

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანების საფუძველზე:**

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჩო-ტურბაზა-„შიხრა“ საავტომობილო გზის კმ1-კმ7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის და მესტიის აეროდრომის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების პროექტის განხორციელება.**

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 4 ერთეული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჩო-ტურბაზა - „შიხრა“ საავტომობილო გზის კმ1-კმ7 მონაკვეთისათვის და მესტიის აეროდრომის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების პროექტისათვის დამუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმები, რომელთა მიხედვითაც გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტების ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რასაც აღნიშნული პირების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 17 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/303 ბრძანება, რომლის თანახმად 4 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 30 ივლისს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 17 აგვისტოსთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად. უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის №1–1/303 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჩო-ტურბაზა-„შიხრა“ საავტომობილო გზის კმ1-კმ7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის ფარგლებში:

ა) ნაირა აფრასიძის (პ/ნ:30001000416) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 42.09.31.103, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 122 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 122 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

2. მესტიის აეროდრომის დამატებითი სამშენებლო სამუშაოების პროექტის ფარგლებში:

ა) თამაზი ხერგიანის (პ/ნ:30001004607) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №42.06.46.016, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 255კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 255 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა;

ბ) იდრის ხერგიანის (პ/ნ:30001000609) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №42.06.46.048, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 9600კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთი 79 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა.

დ) ლევან ხერგიანის (პ/ნ:30001007361) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №42.06.46.025, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 1987კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 1987 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა.

# საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შეტყობინება

## ადგილმდებარეობა: საქართველო
## კონტრაქტის დასახელება

განხორციელების კონსულტანტის საკონსულტაციო მომსახურება

**1. დამკვეთი**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 322 37-05-08
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

**კონტრაქტის სპეციფიკაცია**

**2. კონტრაქტის აღწერა**

ევროპის საინვესტიციო ბანკი საქართველოს მთავრობას უზრუნველყოფს დაფინანსებით საქართველოს აღმოსავლეთ–დასავლეთის მაგისტრალი პროექტისთვის. ამ კონტექსტში, შერჩეული კონსულტანტისგან მოსალოდნელია, რომ შეასრულებს განხორციელების კონსულტანტის საკონსულტაციო მომსახურებას.

**3. მაქსიმალური ბიუჯეტი**

24,000.00 ევრო გადასახადების გარეშე

**მონაწილეობის პირობები**

**4. უფლებამოსილი პრეტენდენტები**

ევროპის საინვესტიციო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ პირს.

http://www.eib.org/projects/publications/guide-to-procurement.htm

**5. განცხადებების რაოდენობა**

ერთი ფიზიკური პირის მიერ ერთ განცხადებაზე მეტი არ უნდა იქნას წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, როცა ფიზიკური პირი წარმოადგენს ერთზე მეტ განცხადებას, ყველა განცხადება, რომელშიც აღნიშნული პირი მონაწილეობს, არ დაიშვება.

**6. მოკლე სიაში გაერთიანების შექმნა აკრძალულია**

მოკლე სიაში მოხვედრილ კანდიდატებს არ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ გაერთიანება ან ქვე-კონტრაქტი ერთმანეთთან აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში.

**7. ქვე-კონტრაქტი**

ქვე-კონტრაქტი დაუშვებელია.

**8. მოკლე სიაში შესაყვანი კანდიდატების რაოდენობა**

მიღებული განცხადებებიდან გამომდინარე 4–დან 8 კანდიდატამდე იქნება მოწვეული კონტრაქტის დეტალური წინადადების წარმოსადგენად. თუ უფლებამოსილი კანდიდატების რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ შერჩევის კრიტერიუმებს, არის 4-ზე ნაკლები, დამკვეთს შეუძლია პირდაპირ მოიწვიოს კვალიფიციური კანდიდატები წინადადების წარმოსადგენად.

**პირობითი განრიგი**

**9. ტენდერზე მოწვევის პირობითი თარიღი**

აგვისტო 2015 წელი

**10. კონტრაქტის დაწყების პირობითი თარიღი**

სექტემბერი 2015 წელი

**11. კონტრაქტის თავდაპირველი ვადა და გაგრძელების შესაძლებლობა**

კონტრაქტის შესრულების თავდაპირველი ვადა იქნება 12 თვე. აღნიშნული ვადა შესაძლოა გაგრძელდეს დამკვეთთან შეთანხმების შედეგად.

**შერჩევის და კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმი**

**12. მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:**

- მაგისტრის ხარისხი, ინჟინრის დიპლომი ჩაითვლება უპირატესობად;
- მინიმუმ ორწლიანი სამუშაო გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებულ პროექტებში;
- ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესყიდვების პროცედურების და/ან მონიტორინგის და რეპორტინგის, ასევე კონტრაქტის მენეჯმენტის;
- მოლაპარაკების წარმოების კარგი უნარი ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური და ქართული ენების კარგი ცოდნა სავალდებულოა;

**13. კონტრაქტის მინიჭების კრიტერიუმი**

საუკეთესო ღირებულება შემოთავაზებული ფასისთვის.

**14. განცხადებების მიღების ბოლო ვადა**

დამკვეთმა აპლიკანტების განცხადებები უნდა მიიღოს არა უგვიანეს 2015 წლის 21 აგვისტოს 17:00 სთ–სა ადგილობრივი დროით. დაგვიანებით მიღებული განცხადებები არ განიხილება.

**15. განცხადების ფორმატი და წარმოდგენის დეტალები**

განცხადებები წარმოდგენილი უნდა იქნას თანდართული წერილის სახით, რომელშიც გამოხატული იქნება აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის სურვილი და ავტობიოგრაფია (CV) ხელმოწერილი კონსულტანტის მიერ.

ნებისმიერი სხვა დამატებითი დაკუმენტაცია (ბროშურა, წერილი და ა.შ) გამოგზავნილი განცხადებასთან ერთად არ განიხილება.

**16. განცხადებების წარმოდგენის პირობები**

განცხადებები უნდა იქნას წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე დამკვეთის სახელზე ან:

- ბეჭდური ვერსია მისამართზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ირაკლი ლითანიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 322 37-05-08

კონტრაქტის სახელწოდება (იხილეთ ზემოთ 1 პუნქტი) უნდა იქნას კონვერტზე მკაფიოდ მითითებული და დამკვეთთან შემდგომი მიმოწერის დროს ყოველთვის უნდა იქნეს მოხსენიებული.

**ან:**

- **ელ.ფოსტაზე:**

info@georoad.ge

**17. განცხადების შეცვლა ან გაუქმება**

აპლიკანტს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს თავისი განცხადება წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განცხადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე. განცხადებების შეცვლა ბოლო ვადის შემდეგ არ დაიშვება.

**18. კომუნიკაციის ენა**

ყველა სახის წერილობითი კომუნიკაცია ტენდერის პროცედურების და კონტრაქტის შესახებ უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე.

---

# SERVICE PROCUREMENT NOTICE

**Location: Georgia**
**Contract title**

The Consultancy Service for an Implementation Consultant

**1. Contracting Authority**

Roads Department of Georgia
Address Kazbegi ave. 12 0160, Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2 37 05 08
Email: info@georoad.ge

**CONTRACT SPECIFICATION**

**2. Contract description**

The EIB provides funding to the Georgian Government for the Project – Georgia East West Highway. In this context, the selected consultant is expected to provide the consultancy service of an Implementation Consultant.

**3. Maximum budget**

EUR 24.000.00 NET

**CONDITIONS OF PARTICIPATION**

**4. Eligibility**

Participation is open to all natural persons in accordance with the EIB Guide to Procurement http://www.eib.org/projects/publications/guide-to-procurement.htm

**5. Number of applications**

No more than one application can be submitted by a natural person. In the event that a natural person submits more than one application, all applications in which that person has participated will be excluded.

**6. Shortlist alliances prohibited**

Short-listed candidates **may not** form alliances or subcontract each other for the contract in question.

**7. Sub-contracting**

Sub-contracting is **not allowed**.

**8. Number of candidates to be short-listed**

On the basis of the applications received, between 4 and 8 candidates will be invited to submit detailed tenders for this contract. If the number of eligible candidates meeting the selection criteria is less than the minimum of 4, the Contracting Authority may directly invite the candidates who satisfy the criteria to submit a tender.

**PROVISIONAL TIMETABLE**

**9. Provisional date of invitation to tender**

August 2015

**10. Provisional commencement date of the contract**

September 2015

**11. Initial period of implementation of tasks and possible extension of the contract**

The initial period of execution of the **contract shall be of 12 months**. This period may be extended, with the prior approval of the Contracting Authority.

**SELECTION AND AWARD CRITERIA**

**12. Shortlisting criteria:**

- Master's Degree, Engineer's diploma will be an advantage;
- At least two years working experience in IFI funded projects;
- Knowledge and practical experience in IFI's procurement procedures and/or monitoring and reporting, as well as contract management;
- Strong negotiation skills will be an advantage;
- Good knowledge of English and Georgian languages is mandatory;

**13. Award criteria**

Best value for money

**14. Deadline for receipt of applications**

The applications must be received by the Contracting Authority **no later than 17:00 hrs. local (Tbilisi) time on or before August 21st 2015.** Any application received after this deadline will not be considered.

**15. Application format and details to be provided**

Applications must be submitted in a form of a cover letter underlining the intention to participate in subject selection accompanied by a recent CV (Curriculum Vitae) which should be signed by the Consultant.

Any additional documentation (brochure, letter, etc) sent with an application will not be taken into consideration.

**16. How applications may be submitted**

Applications must be submitted in English exclusively to the Contracting Authority either by:

- **Recorded delivery** to :

**Roads Department of Georgia**
Irakli Litanishvili, Vice-Chairman
Address Al. Kazbegi ave. #12, 0160, Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2 37 05 08

The **Contract title** (see item 1 above) must be clearly marked on the envelope containing the application and must always be mentioned in all subsequent correspondence with the Contracting Authority.

Or by:

- **E-mail** to:
  info@georoad.ge

**17. Alteration or withdrawal of applications**

Candidates may alter or withdraw their applications by written notification prior to the deadline for submission of applications. No application may be altered after this deadline.

**18. Operational language**

All written communications for this tender procedure and contract must be in English.

ჭიდაობა




# სტარტიც ასეთი უნდა!

**ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობას სერბული სუბოტიცა მასპინძლობს. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენმა ბიჭებმა თავისუფალ ჭიდაობაში შესანიშნავი შედეგი აჩვენეს. საჭიდაოდ ხუთი სპორტსმენი გავიდა და ყველამ მედალი მოიპოვა: გიორგი იანტბელიძის შეგირდებმა 3 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თორნიკე ქათამაძე (42 კგ, ბათუმი), ალექსანდრე ლომიძე (58, ხაშური) და ივერიკო ჯულაყიძე (69, სამტრედია), ხოლო მესამე ადგილები თეიმურაზ ვანიშვილმა (50, გორი) და ბექა ჭელიძემ (85, თბილისი) დაიკავეს.**

ჩემპიონთა სამეულიდან ფინალში ქათამაძემ თურქ დოგან კარას მოუგო დაძაბულ პაექრობაში — 10:9, მანამდე კი მასპინძელი ალიოშა ლისცევიჩი, ბულგარელი პანაიოტ დიმიტროვი (ორივე - 10:0) და აზერბაიჯანელი მუჰამედ ალიევი (12:8) ჩამოიშორა გზიდან.

ფინალში თურქ მუამერ კილიჩს შეხვდა ლომიძე და 6:3 გაიმარჯვა, წინასწარი შეხვედრებში კი მან პოლონელ კრისტიან პისკორზს (11:0), ებრაელ გენადი ბენოგოევს (10:0) და აზერბაიჯანელ გერია გადისას (6:4) აჯობა.

ჯულაყიძემ ზედიზედ სძლია თურქ იბრაჰიმ ცაგლაიანს — 6:2, აზერბაიჯანელ ისმაილ აბდულაევს - 6:5, ბერძენ თეოდოროს იდსიფიდისს — 9:2, ბულგარელ იან ბეკირს — 6:1, რუს ადამ მალაევს — 8:2 და, როგორც აღვნიშნეთ, ოქროს მედალი დაიმსახურა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: თორნიკე ქათამაძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

ძალოსნობა

# კვარცხლბეკს მიღმა

**15 და 17 წლის ძალოსანთა ევროპის პირველობაზე, რომელსაც ლანდსკრონა (შვედეთი) მასპინძლობს, 15-წლამდელებში 62 კილოგრამი წონითი კატეგორიის სპორტსმენებმა იასპარეზეს.** მედლებისთვის ქართველი ედუარდ კაკაბაძეც იბრძოდა, მაგრამ მან, როგორც ატაცსა და აკვრაში, ორჭიდშიც მეოთხე ადგილები დაიკავა, არადა, ატაცში ბრინჯაოს პრიზიორ ფურკან მუჰამედ ოზბეკს მხოლოდ ერთი კილოგრამით ჩამორჩა.

**კვარცხლბეკი**

**62 კგ**

1. პაულ დუმიტრესკუ (რუმინეთი) — 243 (108+135),
2. დევრან კაირა (თურქეთი) — 222 (101+121),
3. ფურკან მუჰამედ ოზბეკი (თურქეთი) — 221 (99+122),
4. **ედუარდ კაკაბაძე** (საქართველო) — 209 (98+111).

დღეს 17-წლამდელთა პირველობაზე 77 კილოში რევაზ დავითაძე და ირაკლი ჩხეიძე იასპარეზებენ.

**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# ბენიტესი: „რეალს“ არავინ დატოვებს



**მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა სერხიო რამოსის „მანჩესტერში“ და კარიმ ბენზემას „არსენალში“ შესაძლო გადასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო.**

„რაც შეეხება ბენზემას, მის გარშემო ყოველთვის ბევრი ჭორია, მაგრამ ეს არ მაღელვებს. მე მინდა მარტო ფეხბურთზე ვიფიქრო. ჩემი ყველა ფეხბურთელი კლუბში რჩება“ — განაცხადა ბენიტესმა.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ბენზემა „არსენალში“ 65 მილიონის სანაცვლოდ გადადიოდა და რამოსი „მანჩესტერის“ ფეხბურთელი გახდებოდა.

**გიორგი შოთაძე**

ეს პრესტიჟია საქართველოსი!

# თანხები წყვეტენ ყველაფერს!

**ოლიმპიური ფესტივალი დასრულდა, ამ ღონისძიებისთვის აგებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის გამოყენება კი სხვადასხვა მიზნით იგეგმება. რა ობიექტები აშენდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობისთვის, რა თანხები დაჯდა და ვინ მიიღო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაში მონაწილეობა? AMBEBI.GE იმ უწყებების სამუშაოებით დაინტერესდა, რომლებიც ფორუმის მომზადებაში იყვნენ ჩართული.**

ფესტივალის მასპინძლობისთვის ათობით მილიონი დოლარი დაიხარჯა. ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, აშენდა 7 ახალი ევროპული სტანდარტების არენა. მათ შორისაა ტანვარჯიშის არენა, მძლეოსნობის ახალი სტადიონი, ფრენბურთის ორი დარბაზი, საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები და სპორტის ახალი სასახლე მაღლივის ტერიტორიაზე. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 საშეჯიბრო და 5 სატრენინგო ობიექტს. მათ შორისაა ბელიაშვილის 5 ნომერში მდებარე ძიუდოს აკადემია და ვერის საკალათბურთო დარბაზი. საბოლოო ჯამში, ოლიმპიური სოფლის ჩათვლით ფესტივალს 11-მა ობიექტმა უმასპინძლა.



სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვასა და აშენებაში მონაწილეობა თბილისის მერიამ და სპორტის სამინისტრომ მიიღეს. სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა კომპანია „სპორტმშენსერვისმა“ ორი ობიექტის — სპორტის ახალი სასახლის და საცურაო აუზის მშენებლობა უზრუნველყო: „34 მილიონი გამოიყო მთლიანად. ეს ორი ობიექტი ამ ოლიმპიადის მასპინძლობისთვის აშენდა, თუმცა, ისინი მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებენ. ეს არის ორი უნიკალური ობიექტი, მსგავსი საქართველოში არ აშენებულა 60-70 წელია“, — აღნიშნა „სპორტმშენსერვისის“ დირექტორმა ლევან ტარყაშვილმა.

რაც შეეხება მერიას, ოლიმპიური ფესტივალისთვის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაში დედაქალაქის მთავრობის სხვადასხვა სამსახურმა მიიღო მონაწილეობა. სპორტის სამსახურმა რამდენიმე სპორტული ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია უზრუნველყო. ესენია: ფრენბურთის დარბაზი, მძლეოსნობის არენა, „დინამო არენის“ სარბენი ბილიკი და სხვა. აღნიშნულმა სამსახურმა ასევე გაიღო კომიტეტის საორგანიზაციო და ოლიმპიადის პოპულარიზაციის ხარჯები. როგორც მერიის სპორტის სამსახურის პრესსამსახურში გვაცნობეს, მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 64 867 176 ლარი, თუმცა, აღნიშნული თანხა არ არის საბოლოო, ვინაიდან საორგანიზაციო კომიტეტს თანხების საბოლოო ჯამი ჯერ არ წარუდგენია. მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა კი ლანდშაფტური დიზაინის და სანიაღვრეების მოწყობა უზრუნველყო, რისთვისაც დაახლოებით 20 მილიონი ლარი დაიხარჯა.




ოლიმპიადის მთავარი ობიექტი „ოლიმპიური სოფელი“ ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფის“ ინვესტირებით აშენდა. ოლიმპიური სოფელი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 50 000 კვ.მ ფართობზეა გაშენებული და აერთიანებს ხუთვარსკვლავიან სასტუმროს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს, რესტორანსა და რეკრეაციულ ზონას. „მთლიანად პროექტის მოცულობა უკვე 181 მილიონ დოლარს მოიცავს. ოლიმპიური სოფლის გარდა, საგზაო კომუნიკაციებიც ჩვენ ავაშენეთ, მათ შორის ვაზისუბანი-თბილისის ზღვის და ვაზისუბანი-ვარკეთილის შემაერთებელი გზები“, — აღნიშნა „ჰუალინგ ჯგუფის“ პრესსამსახურის წარმომადგენელმა თინათინ შიშინაშვილმა.

კორპუსების ნაწილი, რომელიც „ოლიმპიურ სოფელში“ ფესტივალის სტუმრებს მასპინძლობდა, დევნილებს გადაეცემა. თინათინ შიშინაშვილის თქმით, დევნილთა სამინისტრომ უკვე შეიძინა რვა კორპუსი არაკომერციულ ფასად: „რაც შეეხება დანარჩენ კორპუსებს, ისინი იყიდება. ეს იყო დეველოპერული პროექტი. იგი გათვლილია სამომავლო განვითარებაზე. აქ მომავალში იქნება სხვადასხვა საცხოვრებელი და კომერციული ზონა, ასევე შენდება ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრი“.

ოლიმპიური ფესტივალისათვის აშენებული სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის საშუალება მომავალში სხვადასხვა სპორტის სახეობის წარმომადგენლებს ექნებათ. ისინი მსოფლიო სტანდარტებს აკმაყოფილებს, ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ თბილისმა მომავალში სხვა უმაღლესი საერთაშორისო დონის სპორტულ ღონისძიებებსაც უმასპინძლოს.

**თამთა ჯიჯავაძე**

მეკლდეურობა

# 70 სპორტსმენის მონაწილეობით

**საქართველოს სხვადასხვა კუთხის 70 წარმომადგენელი მონაწილეობდა მეკლდეურობაში ვახტანგ ქირიკაშვილისა და თამაზ წიკლაურის მემორიალში, რომელსაც სტეფანწმინდამ უმასპინძლა.** განსაკუთრებით ლენტეხელმა სალომე მეშველიანმა გამოიჩინა თავი — ორი ოქროს მედალი მოიპოვა. დაძაბული პაექრობების შემდეგ დისციპლინების მიხედვით საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

**გოგონები**

**სწრაფი ცოცვა.** 1. სალომე მეშველიანი (ლენტეხი), ნინო ალიბეგაშვილი (ყაზბეგი), 3. ნიცა თვაური (თბილისი).

**რთული ცოცვა.** 1. სალომე მეშველიანი, 2. მარიამ კიწმარიშვილი (თბილისი), 3. ნიცა თვაური.

**ვაჟები**

**სწრაფი ცოცვა.** 1. გიგა ჯანხოთელი (ლენტეხი), 2. უჩა ხუციშვილი (ყაზბეგი), 3. ბექა ფაჯიშვილი (თბილისი).

**რთული ცოცვა.** 1. გუგა დაბრუნდაშვილი, 2. თემურ სამსონაძე, 3. ბექა ფაჯიშვილი (სამივე-თბილისი).

**გივი გაგუა**



**სურათზე: სალომე მეშველიანი.**

ლეგიონერი




# ლევან ბაბილოძე - ბაზილეს, იასაიტისის, ილიევსკის პარტნიორი

**საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების მსროლელმა ლევან ბაბილოძემ (196 სმ) იტალიის საკალათბურთო სერია A-ს წარმომადგენელ** UPEA CAPO D O'RLANDO**-სთან („ორლანდინა ბასკეტი“) გააფორმა კონტრაქტი. ეს კლუბი 1978 წელსაა დაფუძნებული და საშინაო მატჩებს სიცილიის ქალაქ კაპო დ'ძორლანდოს 3600 მაყურებლის ტევადობის პალაფანტოცის არენაზე ატარებს.** გუნდი აპენინელთა სერია A-ს 2013-14 წლების სეზონის შემდეგ დაუბრუნდა, მომავალ ჩემპიონატში კი სამხრეთელ კუნძულელთა რიგებში ისეთი საქვეყნოდ აღიარებული კალათბურთელები იასპარეზებენ, როგორებიც იტალიელი ჯანლუკა ბაზილე, ლიტველი სიმას იასაიტისი და მაკედონიელი ვლადო ილიევსკი (eurobasket.com-ის ცნობით) არიან. ლევანი ორლანდოელთა 18 წლამდელთა და ძირითადი გუნდების ღირსებას დაიცავს.

ლევან ბაბილოძე 1998 წლის 4 ივლისს ბათუმში დაიბადა. იტალიაში თამაში „ტიგულიოს“ აკადემიაში დაიწყო, სადაც გასული წლის დეკემბერში მოხვდა. მან ამ აკადემიის სახელით წარმომადგენლობით ტურნირში Armani Jeans-ის შეჯიბრებაზე იასპარეზა და იქ გამოსვლისას მიიქცია „კაზალე მონფერატოს“ მწვრთნელთა ყურადღება. კაზალელთა 17 წლამდელთა გუნდთან ერთად ბაბილოძემ ცნობილ ტურნირ Jit lissone internacionalle torneo-ში მიიღო მონაწილეობა. ლევანმა გუნდის ხელმძღვანელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და კლუბმაც ქართველთან ოფიციალური ხელშეკრულება გააფორმა. ცოტა ხნის წინათ კი ბაბილოძემ მონფერატოელებთან კონტრაქტი გაწყვიტა და კარიერას „ორლანდინა ბასკეტში“ გააგრძელებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# მკვდარი ზღვა და მადაგასკარი მართლა კვდება!

## ბუნების 10 საოცრება, რომელიც მალე გაქრება

**ტურისტულმა პორტალმა „Budget Travel"-მა, გაქრობის პირას მისული ბუნების 10 საოცრების ნუსხა გამოაქვეყნა. მათი განადგურების თარიღად მეცნიერები 2030 წელს ასახელებენ.**

გთავაზობთ მათ ჩამონათვალს:

**1. ბელიზის ბარიერული რიფი** — მნიშვნელოვნად დაზარალდა. მრავალ ადგილას მან მარჯნების 50% დაკარგა, ისინი გაუფერულებას ამ დრომდე განაგრძობენ. ამის მიზეზი გლობალური დათბობაა.



**2. კონგოლეზის ღრმული** — ეს ამაზონის შემდეგ სიდიდით მეორე მასივია, რომლის ფლორისა და ფაუნის ორი-მესამედი 2040 წლისთვის, გაეროს დასკვნის თანახმად, განადგურდება. მისი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გარემოს დამცველები ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებენ. ამჟამად ტყეებს ინტენსიურად ჩეხავენ, რადგან ფერმერები პირუტყვისთვის საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. აფრიკაში მაღაროების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს.

**3. მკვდარი ზღვა** — ბოლო 40 წლის განმავლობაში მისი მოცულობა მესამედით შემცირდა, ზღვის დონემ კი 24 მეტრით დაიკლო. შედეგად, დაახლოებით 50 წელიწადში მკვდარი ზღვა აღარ იარსებებს. ამასთან, კოსმეტიკის მწარმოებლები ზღვის ფსკერის მინერალურ მარაგს ანადგურებენ.

**4. ევერგლეიდსის ეროვნული პარკი (აშშ, ფლორიდა)** — ფლორიდის პარკის ტერიტორია ერთადერთი ადგილია, სადაც ფლორიდული პანტერა ბინადრობს, პარკის მოცულობა უკვე 60%-ით შემცირდა.

**5. მადაგასკარი** — თუკი ამ აფრიკული სახელმწიფოს ტყეების გადარჩენაზე არ იზრუნებენ, 35 წელიწადში ისინი მთლიანად გაიჩეხება და დაიწვება. მადაგასკარის მკვიდრნი კი დაიღუპებიან.

**6. მალდივის კუნძულები** — თუკი გლობალური დათბობის პროცესი გაგრძელდება, ეს კუნძულები, რომლებიც ზღვის დონიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობენ, ჩაიძირება.

**7. ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები** — გლობალური დათბობა **ანტარქტიდის პინგვინების** 80%-ს განადგურებით ემუქრება. არქტიკაში ამ ბედს თეთრი დათვებიც გაიზიარებენ. პოლარული ყინულის დადნობასთან ერთად, ეკოსისტემები იღუპებიან. 20-40 წლის შემდეგ ანტარქტიდაში ახალი ყინულის მასივები აღარ შეიქმნება.

**8. ვეფხვების პოპულაცია** — ვეფხვების ნახევარზე მეტი ინდოეთის ბინადარია. მსოფლიოში მათი რაოდენობა ამჟამად 3200-ია. ვეფხვები, შესაძლოა, 12 წელიწადში მთლიანად განადგურდნენ. მარტო ჩინური ტრადიციული მედიცინის საჭიროებისთვის დღე-ღამეში საშუალოდ თითო ვეფხვს კლავენ.

**9. ტაჰუამანუს ჯუნგლები (პერუ)** — პერუს პროვინციაში მადრე დე დიოსში წითელი ხის მარაგი მოიპოვება. წითელი ხე ტაჰუამანუს ჯუნგლებში ხარობს. უკანონო ჩეხვის გამო ხეების რაოდენობა დღითი დღე ნადგურდება. მხოლოდ აშშ წითელი ხის 80 %-ს მოიხმარს. ხისგან ავეჯს აწარმოებენ.

**10. მდინარე იანძის აუზი** — მკვლევარებმა აღიარეს, რომ ამ რეგიონში არსებული ფლორა და ფაუნა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მაგრამ ტურისტების მიერ დახარჯულმა თანხებმა, შესაძლოა, ბუნება განადგურებისგან იხსნას.

Budget Travel-**ის მიხედვით**

## ხსოვნა

### შახი სიჭინავა



ყველაფერი იწყება გზით და გზითვე მთავრდება, სამწუხაროდ, ეს გზა ხშირად წარმოუდგენლად მალე მთავრდება, ასე მოხდა ამჟამადაც. ჯან-ღონით, ენერგიით, გამოცდილებით სავსე ადამიანი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

30 წელი უცვლელად ერთ საქმეს — ჩხოროწყუს რაიონის კულტურის განვითარების საქმეს უძღვებოდა. ბევრი რამ არის მის სახელთან დაკავშირებული. მისმა ძალისხმევამ, წინდახედულებამ, საქმისადმი ერთგულების და გამოსავლის გამოძებნის უბადლო ნიჭმა მიიყვანა ის აღიარებულ ხელმძღვანელამდე. ბევრი ხელჩასაქნევი საქმე მოუტრიალებია და მისთვის სიცოცხლის უნარი მიუნიჭებია, შახი სიჭინავას ჰქონდა ამისი შესანატრი უნარი, ამიტომაც დგას ჩხოროწყუს კულტურის სამსახური ასეთ მაღალ დონეზე.

ყველაფერი წარმავალია. ბევრს სიცოცხლეშივე ივიწყებენ, უფრო ცოტანი კი მარადიულობაში აგრძელებენ ცხოვრებას. ბატონი შახი სიჭინავას ეს ბოლო ფრაზა ესადაგება, მის მიერ დატოვებულ საქმეს და სახელი უკვდავი და მარადიულია.

უფალმა ნათელში გამყოფოს დიდებულო ადამიანო!

**ჩხოროწყუს კულტურის სფეროს მუშაკები.**

---

**რუსლან რუსია, ნინო ქორჩილავა, რუსუდან, ილია რუსიები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ თავიანთი ოჯახის სულიერ მოძღვარს, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, არქიმანდრიტ ადამს *(ერისკაცობაში ვახტანგ ახალაძეს)* ერთადერთი ვაჟიშვილის**

**მიქაელის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**სპარტაკ ქობულიას ოჯახი ღმრთისმიერი მოკრძალებით თანაუგრძნობს არქიმანდრიტ ადამ (ვახტანგ) ახალაძეს ერთადერთი ვაჟკაცის**

**მიქაელ ახალაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში", თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**ყურადღება!**

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის" კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**რეკლამა**

**29 3-37-87; 568 82-09-84.**

**მაჩაბლის ქ. №7.**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **სად** მუშაობს თქვენი ქმარი?

— უკვე მესამე თვეა, ლიქიორ-არყის ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

— კმაყოფილია?

— არ ვიცი. სახლში ჯერ არ მოსულა.

* * *

— **რა** მიგაჩნიათ თქვენს ნაკლოვანებად?

— ცოტას ვლაპარაკობ.

— თქვენს ღირსებად?

— ლაქლაქი არ მიყვარს.



**როდესაც** გავიზრდები, ვიყიდი მანქანას, ბინას და შევქმნი ოჯახს. პეტია, 27 წლისა.

* * *

**ბიჭი** სკოლაში გასიებული ტუჩებით მივიდა.

— რა დაგემართა? — ეკითხებიან.

— მამაჩემთან ერთად სათევზაოდ ვიყავი და ტუჩზე კრაზანა დამაჯდა.

— გიკბინა?

— არა, მამამ ნიჩბით მაშინვე მოკლა.

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე